საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

№154
(12 224)

3 ივლისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

სანდრო იაშვილი: სათუო აღარაფერია, თუნში სამი წლით

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი **სანდრო იაშვილი** შვეიცარიულ "თუნში" ჩაირიცხა. თბილისის "დინამოს" ან უკვე ყოფილმა ფორვარდმა ახალ კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმა და ეს გუშინ "თუნის" ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა. აი, რა წერია იქ:

"გუნდი ახალი ფორვარდით გაძლიერდა. 22 წლის ქართველმა თავდამსხმელმა სანდრო იაშვილმა "თუნთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და ყველა ფორმალობა მოაგვარა საიმისოდ, რათა მომავალ ჩემპიონატში შვეიცარიულ ექსპოლიგაში იასპარეზოს. იაშვილი, რომელმაც გასული სეზონი თბილისის "დინამოში" ჩაამთავრა, 21 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ის 185 სმ სიმაღლისაა და 82 კგ-ის იწონის. იაშვილს საქართველოს 21-წლამდელთა და ჭაბუკთა ნაკრებებში აქვს ნათამაშები, ეროვნული გუნდში კი სამი მატჩი აქვს ჩატარებული".

რაც შეეხება "თუნს", ახალი სეზონისთვის გუნდი უკვე რამდენიმე კვირაა, ემზადება. **რენე ვან ესხის** შეგირდები მორიგ ამხანაგურ მატჩს ხვალ, 4 ივლისს, "ივერდონთან" სტუმრად გამართავენ. სავარაუდოდ, ამ შეხვედრაში სანდრო იაშვილიც ითამაშებს.

დავით ცაბაძე

პარიზი არ მოგენატრა?

ლენტი გაიჭრა, მზადება დაიწყო

გუშინ, დილის 10 საათზე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **გორდონ ჰერბერტმა** თბილისში პირველი ვარჯიში ჩაატარა. ის ჯერ ეროვნული ჩემპიონატის კალათბურთელებს აკვირდება. სამდღიანი წვრთნის შემდეგ, ჰერბერტი მათგან საუკეთესოებს 18 ივლისის მთავარი შეკრებისთვის დაიბარებს.

მეორე ვარჯიშზე, საღამოს 7 საათზე, "დინამოს" ბაზაზე მასმედიელებიც დაგვიშვეს და საშუალება მოგვცეს, მზადების პროცესი საკუთარი თვალით გვენახა. და ვინც თვალში გვეცა, მოგვიანებით გეტყვით, ჯერ კი მათზე, ვინც თვალს დააკლდა. 22-კაციანი სიიდან გუშინ არ გამოცხადდნენ **სერგო ათუაშვილი, დავით საყვარელიძე** და **ანატოლი ბოისა**. დათო ამერიკაშია და უნივერსიტეტში გადასასვლელ გამოცდებს აბარებს, ხოლო ბოისას ოთხშაბათს ელიან. დარბაზში შეკრებილი 16 მოთამაშიდან 14-მა ივარჯიშა. **მანუჩარ მარკოიშვილი** 18 ივლისისთვისაა დაბარებული, ბაზაზე კი მწვრთნელთან შესახვედრად და ძმის საქმიანობად მივიდა. **გიორგი შერმადინს** კი ოპერაციის შემდეგ ძალები სრულად არ აღუდგენია და წვრთნას გვერდიდან ადევნებდა თვალს.

თოთხმეტეულში იყვნენ ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც, რომლებიც ხვალ ევროპის ჩემპიონატზე მიდიან: **რევაზ დიდია, მიხეილ ბერიშვილი, რიჩარდ მათიაშვილი**. მათ გვერდით ვარჯიშობდნენ **დავით უგრეხელიძე, გიგი ბარბაქაძე, კოტე ტუღუში, ირაკლი ხოშტარია, ლაშა გამყრელიძე, ზვიად ბაბიაშვილი, ბესიკ ლეჟავა, შიო ხეცურიანი, გიორგი მამაცაშვილი, გიორგი მარკოიშვილი** და **ნიკა მეტრეველი**. სხვათა შორის, გორდონ ჰერბერტს თარჯიმნობას **არჩილ ჟღენტი** უწევდა და წვრთნაშიც ეხმარებოდა...

თუ რა პრინციპებზე იგება ვარჯიშები და რაზე ამახვილებს მწვრთნელი ყურადღებას, ამას თავად ჰერბერტის ინტერვიუდან შეიტყობთ. ახლა კი მოთამაშეთა კომენტარებს გთავაზობთ.

ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი): - მსგავსი შეკრებები აუცილებელია, რათა მწვრთნელს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, თუ ვის რისი გაკეთება შეუძლია. ეროვნულში მოხვედრა-ვერმოხვედრაზე კი ერთის თქმა შემიძლია: მთავარია საქმე კარგად გაკეთდეს, თორემ ვინ რა წვლილს შეიტანს ამაში, ეს უმნიშვნელოა.

გიორგი მარკოიშვილი (აზოტი): - მზადება დღეს დავიწყეთ და ყველა მონდომებულია. გვინდა, ნაკრების წარმატებას ხელი ჩვენც შევაშველოთ. ვფიქრობ, ეს წელინადი ქართული კალათბურთის აღორძინების წლად უნდა იქცეს.

გიორგი მამაცაშვილი (ნტდ დუვონი, აზერბაიჯანი): - გორდონ ჰერბერტთან "პარიზში" ვვარჯიშობდი. პირველივე შეხვედრისას მკითხა - პარიზი არ მოგენატრაო? მართლა მომენატრა. ბაქოში თამაშს პარიზი სჯობდა. ნაკრებში მოხვედრას რაც შეეხება, ვფიქრობ, ამის შანსი მაქვს, მაგრამ... მცირე.

რას უნდა ველოდოთ? A დივიზიონში მოხვედრას!

ინტერვიუ გორდონ ჰერბერტთან

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ევროტურნირების წინ

ოლიმპი ურეკში დაბანაკდა

კილასონიამ მხოლოდ ორი აფრიკელი დაიტოვა

გუშინ საქართველოს ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" ურეკში გაემგზავრა, სადაც 12 ივლისამდე მოემზადება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **ვარლამ კილასონიამ** შეკრებაზე მყოფთა სია გაგვაცნო.

მეკარეები: მირზა მერლანი, მიხეილ ალავიძე

მცველები: დავით გიგაური, დავით ჭიჭვეიშვილი, ერნესტ აკუსაგა, სერგო ორბელაძე, მიხეილ მახვილაძე, გიორგი ნავალოვსკი.

ნახევარმცველები: გიორგი კახელიშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, არჩილ სეფისკვერაძე, ლევან სილაგაძე.

თავდამსხმელები: ჯაბა დვალი, ვლადიმერ დვალიშვილი, მასუანგა ბოდრი ჯილდასი.

კილასონიას თქმით, მხოლოდ ორი გასასინჯი აფრიკელი დატოვეს - გაბონელი ცენტრალური მცველი **ერნესტ აკუსამა** და კონგოელი თავდამსხმელი **მასუანგა ბოდრი ჯილდასი**. თუმცა ჯერ მათი საკითხიც არაა გადაწყვეტილი. კონტრაქტებს გაუფორმებენ თუ არა, ეს საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გადაწყდება.

უახლოესი დღეებისთვის ორი საკონტროლო მატჩი დაიგეგმა - 4 ივლისს რუსთაველები ზუგდიდში "მგლებს" ესტუმრებიან, 7 ივლისს კი ურეკში თბილისის "ლოკომოტივს" გაეჯიბრებიან. დღეს რკინიგზელებიც ამ ზღვისპირა დაბაში დაბანაკდებიან.

კილასონიას თქმით, ურეკში ორი საკმაოდ ნორმალური მოედანია, სადაც სრულყოფილად შეიძლება სავარჯიშო პროცესის ჩატარება.

გიორგი სეთურიძე და **გიორგი ონიანი** კი გერმანიის ვიზას ელოდებიან და წესით, იენის "კარლ ცაისთან" 2+1 სისტემით კონტრაქტი უნდა გააფორმონ. ისინი "ოლიმპს" ურეკში არ გაჰყოლიან.

რაც შეეხება რუსთავის სტადიონის



ვარლამ კილასონია და ხვიჩა ქასრაშვილი

ინსპექტირებას, უეფას დელეგატის, **ტიერი ფავრის** ვიზიტი უკვე მეორედ გადაიდო. მას ერთ კვირაში ელიან და ზუსტად გვეცოდინება, "ოლიმპი" "ასტანას" საშინაო არენაზე უმასპინძლებს თუ "ლოკომოტივზე".

დაბოლოს, გუნდში არაა **თორნიკე აფციაური**. ამის მიზეზს მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

მერაბ მამულაშვილი

ისევ კუსტანაიში, ამჯერად ასტანასთან

საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულს რუსთავის „ოლიმპს" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კენჭისყრამ ყაზახური „ასტანა" არგუნა. ერთი შეხედვით რთული მეტოქე არ არის, მაგრამ ყაზახებთან რომ სიფრთხილე გვმართებს, ეს ინტერტოტოს თასიდან „ტობოლის" მიერ „ზესტაფონის" გამოგდებამაც დაგვანახა.

სხვათა შორის, „ასტანა"-ოლიმპის" დაპირისპირება კუსტანაიში, სწორედ იმ არენაზე გაიმართება, სადაც ცოტა ხნის წინათ „ტობოლმა" „ზესტაფონს" კუდით ქვა ასროლინა. ყაზახეთის დედაქალაქიდან კოსტანაიში მატჩის გადატანის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ასტანის ცენტრალური სტადიონი უეფას მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და იქ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების გამართვა დაუშვებელია.

როგორც „კუსტანაისკი ნოვოსტის" კორესპონდენტმა **ფარიდ დანდიბაევმა** გვამცნო, ასტანაში ძველი სტადიონის ნაცვლად ამჟამად ახალს აშენებენ. თუმცა, ბუნებრივია, 24 ივლისამდე არენის გაკეთება ვერ მოესწრება.

დედაქალაქელები მატჩის ჩატარების ადგილად სამ ვარიანტს განიხილავდნენ. თავდაპირველად, საუბარი იყო ალმათიზე, სადაც ქვეყნის საუკეთესო სტადიონია განთავსებული. თუმცა, დედაქალაქელებს სტადიონის ქირა ძალიან ძვირი დაუფასეს და „ასტანამ" დიდი თანხის გადახდაზე უარი განაცხადა.

მეორე ვარიანტი იყო აკტობე, თუმცა ამ ქალაქში ტელეტრანსლაციისთვის საჭირო სისტემა არ აღმოჩნდა, რის გამოც ქვეყნის მასშტაბით მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა და ამის გამო აკტობეს ვარიანტიც გამოირიცხა.

საბოლოოდ, დედაქალაქურმა კლუბმა თავისი არჩევანი კოსტანაიზე შეაჩერა. კოსტანაის კეთილმოწყობილი არენა უეფას მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს. ასტანელებს მისი დაქირავება გაცილებით იაფი უჯდებათ და არც ტელეტრანსლაციის დროს ექნებათ პრობლემები. მოკლედ, ინტერტოტოსა და უეფას თასის მატჩების შემდეგ, კუსტანაი პირველად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშსაც უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ მატჩები 17-18 და 24-25 ივლისს გაიმართება. იმედი ვიქონიოთ, ამჯერად კოსტანაის არენა ქართველებისთვის იღბლიანი იქნება და „ოლიმპი" „ასტანას" ბარიერს ზედმეტი ნервიულობის გარეშე გადალახავს.

დავით კოხრეიძე

თორნიკე აფციაური მარიუპოლის ილიჩევეცში?

კონფლიქტური ვარ? სეზონში ერთადერთი ყვითელი მივიღე!

ლევან ფანიაშვილი და თორნიკე აფციაური

თორნიკე აფციაურის კარიერაში გასული სეზონი საუკეთესო აღმოჩნდა. 27 წლის ნახევარმცველმა რუსთავის "ოლიმპის" რიგებში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და თავადაც საუკეთესოდ წარმოჩნდა - "დიაზე" საუკეთესო ნახევარმცველთა ნომინაციაში სამეულში მოხვდა.

- თორნიკე, ბოლო დროს საქართველოში აშკარა ტენდენციაა, ან ფლეიმეიქერები აღარ იზრდებიან, ან მათ აღარ ენდობიან. ფაქტია, რომ შენი სტილის ფეხბურთელები მუშა საყრდენებით შეიცვალა.

- ალბათ, პრაგმატული მოსაზრება ბევრს წყვეტს. ავიღოთ რუსთავის "ოლიმპი" - პირველ წრეში შემტევი ფეხბურთი ვაჩვენეთ და შედეგიც მივიღეთ. მეორეში კი უკვე პირველობის შენარჩუნებაზე ვფიქრობდით. შეიძლება, პირადად მე პირველ წრეში ამის გამო უფრო ვჩანდი.

საერთოდ, ასეთი ტენდენცია და დაცვითი ფეხბურთი არ მომწონს. ბოლოს და ბოლოს, თამაშის ბედს ძირითადად მაინც ინდივიდუალურად გამორჩეული ფეხბურთელები წყვეტენ, მაგალითად, ზიდანი და მესი. მათ რომელი საყრდენი შეცვლის? საუკეთესო ვარიანტია, როდესაც ფლეიმეიქერი ფიზიკურად იდეალურადაა მომზადებული. მარტო ჯანმაგარი ბიჭებით თამაშის მოგება კი შეუძლებელია. მომენტს შექმნა უნდა, ჩამშლელს კი ეს ნაკლებად ეხერხება. ფაქტია, რომ გუნდს ორივე სჭირდება.

- უმაღლეს ლიგაში უკვე 9 წელიწადია თამაშობ და გასული სეზონი ყველაზე წარმატებული იყო. საუკეთესო ნახევარმცველებში დაგასახელეს, შენით უცხოეთშიც დაინტერესდნენ.

- გუნდმა ყველაფერში ხელი შემინყო. ძლიერი ბიჭები შეიკრიბნენ, მოვინდომეთ და თავიდან თუ სამეულზე ვფიქრობდით, მერე მივხვდით - არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავდა. 19 წლის ასაკიდან ოთხი გუნდი შევიცვალე - "დინამო", "ლოკომოტივი", "თბილისი", "ოლიმპი" მეოთხეა. ჩემთვის ყველაზე წარმატებული ეს უკანასკნელი აღმოჩნდა.

ეტყობა, მეც დამიგროვდა გამოცდილება და ჩემს თანაგუნდელებსაც. ჩემპიონებისთვის მოვმწიფდით. იმდენად მეგობრული გუნდი გვყავდა, ბევრი თამაში ერთიანობის ხარჯზე მოვიგეთ. "თბილისიც" ძალიან მომწონდა, იქაც შეგვეძლო ჩემპიონობა, მაგრამ რაღაცა დაგვაკლდა.

- უცნაური ისაა, რომ დღემდე საქართველოში ჩემპიონი ყველაზე მდიდარი კლუბი ხდებოდა. "ოლიმპი" კი წლეულს კონკურენტებზე მდიდარი ნაღდად არ იყო.

- ეტყობა, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას მარტო ფული არ ჰქოფნის, მეგეობრული გარემოა აუცილებელია.

- "თბილისი" თუ "ოლიმპი"? წინ რომელს დააყენებ?

- "თბილისი" მაგარი გუნდი იყო, მაგრამ მაინც "ოლიმპს" ვამჯობინებ. იმიტომ, რომ ჩემპიონი რუსთავში გავხდი. სხვათა შორის, "თბილისი" ბევრად მდიდარი იყო. მისნაირი 6-7 გუნდი დღეს რომ გვყავდეს, ბევრად უკეთესი ჩემპიონატი გვექნება.

- ყველაფერი კარგი და თემა, რომელიც ბევრისთვის სალაპარაკოა - რომ მოედანზე კონფლიქტური ხარ, რამდენიმე ხმაურიან ჩხუბთან გაკავშირებენ და ა.შ. არადა, თანაგუნდელები აბსოლუტურად სხვაგვარად გახასიათებენ.

- ვარ თუ არა კონფლიქტური, ამაზე მარტივ პასუხს სტატისტიკა გაგცემთ. გადახედეთ და ყველაფერს მიხვდებით. სეზონში მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი მივიღე. პირიქით, წელს გამოვსწორდი, შეცდომები კი ვის არ დაუშვია.

რა თქმა უნდა, ემოციური ვარ და თამაშის დროს თავს ყოველთვის ვერ ვთოკავ. წაგება არ მიყვარს და ამ დროს ვმწარდები, თუმცა მეტისმეტად გაზვიადებული შეხედულებაა, რომ ჩემნაირი ამრევი მეორე არ არის, ჩხუბისთავობაზე კი მეცინება, ასეთი ნაღდად არ ვარ. თუნდაც მსაჯებთან კამათი მოგონილი თემაა. მოედანზე სათამაშოდ გავდივარ და არა საჩხუბრად.

- ნაკრებში შენს მიწვევაზე ბევრჯერ ყოფილა საუბარი, მაგრამ ფიზიკურ კონდიციებს გიწუნებენ. ამ დროს გიორგი დევდარიანმა გვითხრა, რომ ბოლო სამი წელიწადია, ფიტნეს-კლუბში ვარჯიშობ. გარეგნულად ეს დიდად არ გეტყობა.

- გარეგნულად ათლეტურის შთაბეჭდილებას არ ვტოვებ. თუმცა, მთავარია, მოედანზე რას აკეთებ. თავად ხომ ვიცი, რამხელა სამუშაოს ვასრულებ, უბრალოდ, ყველა ტანკივით არ გამოიყურება. ფიზიკურად ნაღდად არ ვარ სუსტი. იკითხეთ გუნდში, ერთ-ერთი საუკეთესო მონაცემები მაქვს.

- დაბოლოს, რუსთავის "ოლიმპს" ურეკში რატომ არ გაჰყევი, მართალია, თითქოს უკრაინაში მიდიხარ?

- ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ ჩემით მარიუპოლის "ილიჩევეცია" დაინტერესებული და მიწვევას ველი.

მერაბ მამულაშვილი

თურქი 17-წლამდელები

17-წლამდელთა ნაკრები

ჯერ თურქეთი, მერე ალბანეთი

მასპინძლები ჰამბურგელით დაგვიხვდებიან

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ტრაბზონშია და შავი ზღვის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირისთვის მზადებას განაგრძობს. შეგახსენებთ, რომ მონაწილე 10 გუნდი სამ ჯგუფადაა დაყოფილი. ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მეტოქეები თურქეთი და ალბანეთი არიან. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდს სასტარტო მატჩი დღეს თურქეთთან ელის, ზეგ, 5 ივლისს კი ალბანეთს ვეთამაშებით. ჩვენი ჯგუფიდან ნახევარფინალში მხოლოდ პირველადგილოსანი გადის. ბუნებრივია, მასპინძლები ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ ნახევარფინალში გავიდნენ. შესაბამისად, ცანკერის ბიჭებს დღეს გადამწვეტი მატჩი აქვთ.

ჩვენი მეტოქე თურქეთის თავკაცი **შენოლ უსტაუმერი** გუნდს უკვე რამდენიმე დღეა ამზადებს. მან ნაკრებში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

ქემ სულთანი, ემრე გოლაქი, ემრაჰ იოლუ (ყველა გალათასარაი), ალთექინ თეითეი, ოზგურ გექი, სერთაქ ერენი (ყველა ფენერბაჰჩე), ალი ქუჩიქი, ბათუჰან კარადენიზი (ორივე ბეშიქთაში), მაჰმუთ ბოზი, მეთინ უგარი, სონერ აიდოლუ (ყველა გენჩლერი), უგურ დემირქოლი (ანკარა), ერენ ალბაირაქი (ბურსა), ბანშ მემიში (ტრაბზონი), ერჰან კარაიერი (დარდანელი), ისმაი ასლანი (გირსუნი), მუჰამედ კურტი (ორდუ), თუნაი თორლუნი (ჰამბურგი).

როგორც ხედავთ, ამ ჩამონათვალში მხოლოდ ერთი ლეგიონერია. რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, ჰერბერტ ცანკერის შემადგენლობა ლეგიონერთა გარეშეა წარმოდგენილი და ასე გამოიყურება:

მეკარეები: თორნიკე ნიორაძე, გიორგი შარიქაძე (ორივე დინამოს აკადემია).

მცველები: თორნიკე კაკუშაძე, ერნესტ ახალბედაშვილი (ორივე დინამოს აკადემია), ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), ალექსი ქაშაკაშვილი (სულაქველიძის აკადემია).

ნახევარმცველები: დავით რიგვავა, დავით ლორთქიფანიძე, დავით მეგრელიშვილი, ლუკა გუგუჩია, ნიკა შონია (ყველა ოლიმპის აკადემია), გიგა მელიქიშვილი (კახეთი), მერაბ მამულაძე (ბათუმი), ნიკა ძალამიძე (ბაია).

თავდამსხმელები: ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი), ირაკლი შეყილაძე (ბაია), ოთარ მეუნარგია (დინამოს აკადემია), ზურაბ ხურციძე (ტორპედო), დათო ვაშაკიძე (ოლიმპის აკადემია).

თურქეთ-საქართველოს 17-წლამდელთა მატჩი დღეს ტრაბზონში, "ავნი აქერის" სტადიონზე, 20 საათზე დაიწყება. ხვალ კი ამავე არენაზე თურქეთისა და ალბანეთის ჭაბუკთა ნაკრებების მატჩი გაიმართება.

დავით ცაბაძე

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

ეროვნული გიბლიოთეკა

www.pfl.ge



ჰაინც ტოპმიოლერი

19-წლამდელთა ნაკრები. ევროპის ჩემპიონატი

ჰოლანდიით ვიწყებთ

როგორც გახსოვთ, შარშან 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს ვუმასპინძლეთ. მაშინ **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი გერმანიის, რუსეთისა და მაკედონიის 17-წლამდელებს ეთამაშა.

ამჯერად საქართველოში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდება. ეს ამბავი ჯერ კიდევ 1 მარტს, უეფაში გამართული წილისყრის შემდეგ გადაწყდა. გაცნობებთ იმასაც, რომ **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდს ჯგუფის მეტოქეებად ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ლატვიის ჭაბუკთა ნაკრებები ეყოლება. ჯგუფის ორი გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე, ელიტრაუნდში იასპარეზებს.

ელიტრაუნდის მატჩები გაისად გაზაფხულზე გაიმართება, ფინალური ეტაპი კი მომავალ ზაფხულს ჩატარდება. უკვე დადგინდა პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მატჩების კალენდარი გათამაშება საქართველოში 17-24 ოქტომბერს ჩატარდება:

18.10.07	საქართველო-ჰოლანდია ნორვეგია-ლატვია
20.10.07	საქართველო-ნორვეგია ლატვია-ჰოლანდია
23.10.07	საქართველო-ლატვია ჰოლანდია-ნორვეგია

ოთხივე მონაწილე გუნდი თბილისში დაბინავდება. თუმცა მატჩები დედაქალაქის გარდა სხვა ქალაქებშიც ჩატარდება. თბილისის გარდა, ტურნირის მატჩების სხვა მასპინძელი ქალაქების ვინაობა მალე გახდება ცნობილი.

დავით ცაბაძე

130?

გუშინდელ "კიკერში" რალფ მინგეს ინტერვიუა გამოქვეყნებული. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა და დრეზდენის "დინამოს" სპორტულმა დირექტორმა ძირითადად საკლუბო საქმეებზე ისაუბრა, მაგრამ გვერდი არც ჩვენი გუნდისთვის აუვლია. მოზრდილი ინტერვიუდან ჩვენთვის საინტერესო ის მონაკვეთია, სადაც მინგე თავისი ორი საქმის შეთავსებაზე საუბრობს.

"კლუს ტოპშიოლერთან ერთად საქართველოში მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ "დინამოს" "ჩემს გულში უპირველესი ადგილი უკავია. შეთავსებას რომ ვერ ვახერხებდე, ბუნებრივია, რომელიმე პოსტზე უარს ვიტყოდი", - ამბობს მინგე

"კიკერის" კორესპონდენტის შეკითხვაზე, დროს როგორ ანაწილებთო, მინგემ მიუგო: *"წელიწადში 130-150 დღეს საქართველოში ვატარებ, დანარჩენს კი დრეზდენში"*.



რალფ მინგე

კომენტარი, ვფიქრობთ, ზედმეტია. იმედია, ამხელა პეროდს გერმანელი მწვრთნელი სამომავლოდ მაინც დაპყოფს ჩვენს ქვეყანაში.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ჩემპიონატი. პროფლიგა

კლუბებს კომისია შეამოწმებს

გაისად უეფას საკლუბო ლიცენზირების სისტემა ახალ რელსებზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება კლუბებს უფრო მკაცრად მოეთხოვებათ. ბუნებრივია, ეს ჩვენი ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგის ხელმძღვანელებსაც კარგად აქვთ გათავისებული და საამისოდ თადარიგიც დაიჭირეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებს შეამოწმებს - ინფრასტრუქტურას, სტადიონებს, ყურადღება გამახვილდება ფინანსურ მდგომარეობაზეც.

ამ კომისიის თავმჯდომარე **დიმიტრი რამიშვილია**. კომისიის წევრები **კი უჩა უგულავა, პაატა ბურჯალიანი, ნოდარ კაკულია** და **გერა ხეცურიანი** არიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსური გარანტიების წარმოსადგენად კლუბებს 5 ივლისამდე აქვთ ვადა. ამ თარიღის შემდეგ კი კომისია შემოწმებებს დაიწყებს.

"გაისად უეფა ლიცენზირების მოთხოვნებს გაამკაცრებს და ამ პროცესს არ უნდა ჩამოვრჩეთ. კომისია სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ ერთგვარად თადარიგი დავიჭიროთ და ყველაფერს მომზადებული შევხვდეთ. კლუბებს შეამოწმებს და მათ ლიცენზირების კრიტერიუმების დაკმაყოფილებას მკაცრად მოვთხოვთ", - გვითხრა პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

როგორ აჭყუებს მწვრთნელი საკუთარ თავს, პრეზიდენტსა და გულშემატკივარს

გეგუჩაძის რეცეპტი: ცაიტნოტი დროსა და სივრცეში!

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ევროტურნირებზე საუკეთესო შედეგი თბილისის "დინამოს" ჰქონდა. 2004 წელს გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა - "დინამომ" მაშინ 1 დეკემბერს დატოვა ევროფრონტი, ქართული კლუბებიდან ასე შორს ევროტურნირზე არც ერთი გუნდი არ წასულა.

მაშინდელი "დინამოს" მწვრთნელი გია გეგუჩაძე გახლდათ, ვინც ახლა პირველი ლიგის "გაგრის" სპორტული დირექტორია. გეგუჩაძეს მეტწილად იმაზე ვესაუბრეთ, თუ რა ტენდენციებია ახლა ქართულ კლუბებში და რატომ არის ასეთი ძნელი 2004 წლის "დინამოს" შედეგის განმეორება.

- ქართული გუნდები ევროტურნირებზე ღირებულს ვერაფერს რომ აღწევენ, ეს პირველ რიგში ალბათ იმის ბრალია, რომ ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, რითაც ევროფრონტზე მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწევენ...

- მასეა, მოწინავე ქართული გუნდები ასე არ უნდა თამაშობდნენ. სამწუხაროა, ასეთ მდგომარეობაში რომ ვართ.

- და როგორ უნდა თამაშობდნენ მოწინავე ქართული გუნდები, ევროტურნირებზე თავი რომ გამოიჩინონ?

- რასაც წამყვანი ქართული გუნდები თამაშობენ, ეს თანამედროვე ფეხბურთი არ არის. თანამედროვე ფეხბურთისგან ძალიან შორს ვართ.

- მთავარი ფაქტორი აქ სამწვრთნელო პროცესია?

- თამაში მხოლდ სამწვრთნელო პროცესისგან არ მოდის. პირველ რიგში ერთსულოვნება უნდა იყოს კლუბში, რომელსაც ჩამოყალიბებული პოლიტიკა ექნება. საქართველოში ვერ ვხედავ კლუბს, რომელსაც მიზანმიმართული პოლიტიკა აქვს. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა და ჩვენც გვქონდა შეცდომები "დინამოში", მაგრამ არჩეული გზისგან არ გადაგვიხვევია. ერთსულოვნებისა და პოლიტიკის შემდეგ მოდის სელექცია, ანუ ფეხბურთელების სწორად შერჩევის ფაქტორი. შემდეგ კი სამწვრთნელო პროცესი.

- როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი სამწვრთნელო პროცესში?

- დროისა და სივრცის ცაიტნოტი - ყოველივე ეს იმის შესაბამისი უნდა იყოს, რაც ხდება თამაშის დროს.

- დაკვირვებული თვალი კარგად შეამჩნევს, რომ თითქმის ყველა მოწინავე ქართული გუნდი დაცვით ფეხბურთს თამაშობს...

- მწვრთნელი დამოკიდებულია კლუბის პრეზიდენტზე, ცდილობს, სამუშაო არ დაკარგოს და უმეტეს შემთხვევაში დაცვითი ტაქტიკით ათამაშებს გუნდს - ამას აკეთებს მწვრთნელთა აბსოლუტური უმრავლესობა. ყოველივე ამას კი, საბოლოო ჯამში, კარგი არაფერი მოაქვს. ფეხბურთი დინამიური თამაშია, ქართულ გუნდებში კი ასეთი დინამიკა არ არსებობს.

- მწვრთნელთა უმრავლესობა ამას უხარისხო მოედნებს აბრალებს...

- მინდვრის ხარისხი მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ არა უმთავრესი. თამაშის ხარისხს უბრალოდ არავინ უყურებს. "გაგრა" პირველი ლიგის თამაშებს 12 ბურთით თამაშობს, მაგრამ ამითაც ვერ იზრდება დინამიკა. მეტოქეთა აბსოლუტური უმრავლესობა სულ იმას ცდილობს, როგორ დააგდოს ტემპი. ასეთი სიტუაცია ხშირია უმაღლეს ლიგაშიც. ყველა საშუალებით მივაღწიოთ შედეგს - ეს უკვე ფეხბურთი აღარ არის.

- ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა იმან, ვინც დაცვით ფეხბურთს თამაშობდა, ჩემპიონთა ლიგის ბოლო ფინალიც იმან მოიგო, ვინც ფრთხილი, დაცვითი ტაქტიკა აირჩია - ქართველი მწვრთნელებიც ალბათ ასეთ მოდას აჰყვნენ და ვინძლო თავიანთ პრეზიდენტებსაც იმას ეუბნებიან, დღეს დაცვითი ფეხბურთი იმარჯვებს და ჩვენც ასე უნდა ვითამაშოთო...

- თუ ეს მართლა ასეა, მაშინ მწვრთნელი საკუთარ თავსაც ატყუებს, პრეზიდენტსაც და გულშემატკივარსაც. როცა "ბარსელონა" ან "რეალი" თამაშს მოიგებენ, მაგრამ კარგად ვერ ითამაშებენ, მაყურებელთა მხრიდან ამას დადებითი რეაქცია არ მოსდევს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებულს, რაც უნდა ჩაკეტილი ფეხბურთი ითამაშოს "მილანმა", 4-5 სახიფათო მომენტს მაინც ქმნის. იტალიის ნაკრები თუ "მილანი" ჩაკეტილ თამაშს სისტემატურად არ მიმართავს, ქართულ გუნდებში კი ეს მასიურად ხდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დაცვა მხოლოდ თამაშის ჩაშლას არ ნიშნავს - მეტოქეს ბურთს რომ აართმევ, შეტევა მყისვე უნდა დაიწყო - ქართულ გუნდებში ასე არ ხდება. დაცვის კარგად ორგანიზება საკმაოდ რთული პროცესია, მაგრამ ჩემი შეხედულებით, მწვრთნელის შემოქმედებითი უნარი შეტევაში უფრო ჩანს. საუკეთესო თავდაცვა შეტევაა - ეს მოძველებული სენტენცია სულაც არ არის. 2004 წელს შემტევი ფეხბურთით მოვუგეთ "ვისლას", რომელიც ჩვენზე ძლიერი გუნდი იყო.

- დაცვითი ფეხბურთის მიმდევარ წამყვან ქართულ გუნდებში საინტერესო ფეხბურთელების განვითარების რა პერსპექტივას ხედავთ?

- საქართველოს ჩემპიონატში მართლაც გვყავს რამდენიმე ძალიან საინტერესო ფეხბურთელი, მაგრამ მათს ნიჭს განვითარება სჭირდება. ასეთ სიტუაციაში კი ამ ფეხბურთელებს წინსვლა ძალიან უძნელდებათ. ფეხბურთელს ხან სათანადო პირობები არ აქვს, ხან კი მწვრთნელმა არ იცის, როგორ მოამზადოს ფეხბურთელი. უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდი შეკრებაზე მიდის ისეთ ადგილას, სადაც არც მოედანია და არც სპარინგპარტნიორი. ვერ გავიგე, რა აზრი აქვს ასეთ შეკრებას? მხოლოდ ჰაერის გამოცვლაა საქმე?



- "გაგრაში" რატომ აკეთებთ აქცენტს მხოლოდ 18-19 წლის ფეხბურთელებზე? გუნდი ასე უმაღლეს ლიგაში ვერ გადადის და საერთოდაც, ფეხბურთი ხომ მამაკაცების სპორტია და არა ჭაბუკების...

- ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები გაიზრდებიან, მომძლავრდებიან და უმაღლეს ლიგაშიც გადავალთ. პარტნიორობას ვაპირებთ ფრანგულ "ლე მანთან" და ბელგიურ "ბევერენთან". წლეულს ანთალიაში რომ ვიყავით შეკრებაზე, იოჰან ბოსკამპს ვთხოვე და "გაგრაში" ვარჯიში ჩაატარა. მას მოეწონა ჩვენი ფეხბურთელები და თავის მეგობარს, "ბევერენის" პრეზიდენტს უამბო მათ შესახებ. "ლე მანი" კი თვითონ დაინტერესდა ჩვენთან პარტნიორობით. ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში რომ იყო შეკრებაზე, მაშინ შენიშნეს "ლე მანის" წარმომადგენლებმა ქართველი ფეხბურთელების შემოქმედებითი უნარი. ალბათ იცით, რომ "ლე მანი" "გაგრისა" და 19-წლამდელთა ნაკრების ფორვარდ ვახტანგ ფანცხავათია დაინტერესებული და ალბათ მალე მასთან კონტრაქტსაც გააფორმებს. ევროპულ კლუბებთან პარტნიორობას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია "გაგრისთვის". უცხოური კლუბები კი ჩვენთან ურთიერთობით იმიტომ არიან დაინტერესებული, რომ 18-19 წლის ასაკში ფეხბურთელს ჯერაც ბევრი რამის სწავლა და ათვისება შეუძლია და ასეთი ფეხბურთელი მათთვის საინტერესოა.

- ჩვენი ინტერვიუ კი უფრო მაინც პესიმისტურ ლაიტმოტივზე წარიმართა...

- ქართული ფეხბურთის განვითარებას ბევრი რამ აბრკოლებს, მათ შორის დუნე, არადინამიკური თამაში, მოედნების ხარისხი... რაც ვილაპარაკე, ეს უბრალოდ ჩემი აზრია, არავის შეურაცხყოფა და საკუთარ თავს ყველაზე მაღლა არ ვაყენებ - უბრალოდ, იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

დავით თავართქილაძე

დინამო-ბერა 7:0

1:0 ვუკუე (37. კობახიძის პასით), 2:0 მერებაშვილი (48. ფეიქრიშვილის პასით), 3:0 ჯანაშია (61. ხმალაძის პასით), 4:0 აკირემი (69. კრშკოს პასით), 5:0 აკირემი (70. ფეიქრიშვილის პასით), 6:0 ოდიკაძე (77), 7:0 აკირემი (81. მერებაშვილის პასით).

დინამო: ლორია, ლობჟანიძე, კრშკო, ხელიჩი, თომაშვილი, დიმელაშვილი, ფირცხალავა, კობახიძე, ვუკუე, ხუციშვილი, სპასოევიჩი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: შ. კაშია, გ. კაშია, ოდიკაძე, ხმალაძე, ჯანაშია, ფეიქრიშვილი, მერებაშვილი, გონჩაროვი, აკირემი.

გერმანულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" ობერლიგაში აღზევებული "გერა 03" გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხა. კლუბის პრეს-ატაშე **გიგა გვენცაძის** თქმით, გუშინდელ შეხვედრაში გაბონის ნაკრების ფორვარდმა **გეორგის აკირემიმაც** ითამაშა. 25 წლის რემიმ, რომელსაც ეროვნულში 14 მატჩი აქვს ჩატარებული, "დინამოში" არაოფიციალური დებიუტი ჰეთ-თრიკით აღნიშნა. პირველმა ტაიმმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. მართალია, შესვენებამდე თბილისელები დაწინაურდნენ, მაგრამ მეკარე **ლორიასაც** მოუნია რამდენიმე რთული ბურთის აღება. მეორე ნახევარში კი კლასმა თავისი გაიტანა და **დუშან უჰრინის** ბიჭებმა მეტოქე შვიდი უპასუხო გოლით "ასიამოვნეს".

"გერასთან" მატჩში კვლავ არ უთამაშია **ოლეგ გველესიანს**, რომელიც, ეტყობა, გერმანიაში დარჩენილ ტესტმატჩებში გუნდს ვეღარ შეეშველება. დაშავებული **სოსო გრიშიკაშვილი** კი, სავარაუდოდ, ახალი სეზონის სასტარტო ტურებს გამოტოვებს. "დინამო" მორიგ ამხანაგურ მატჩს, ხვალ, 4 ივლისს, სპლიტის "ჰაიდუკთან" გამართავს.

დავით ცაბაძე

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ლეგიონერები

აბრამიძე ანჟიშია, აშვეთიას ელიან


მიხეილ აშვეთია

მახაჩყალის "ანჟის" ხელმძღვანელობას რუსეთის პრემიერლიგაში დაბრუნება სურს და საამისოდ მოთამაშეთა შესაძენ თანხას არ ზოგავს. დაღესტნელთა მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** ადგილობრივ გაზეთ "სტადიონთან" საუბარში ახალწვეულთა შესახებ ისაუბრა.

"ვალერი აბრამიძე უკვე მესამე დღეა, ჩვენთან ვარჯიშობს და გუნდის განკარგულებაშია. იგი ამჟამად ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. აბრამიძემ ბოლო ორი სეზონით აზერბაიჯანში გაატარა და წელს ლიგის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს. "კარლ ცაისის" ყოფილ ფორვარდ მიხეილ აშვეთიას კი დღეს ველოდებით".

თეთრაძემ კახა მჟავანაძის ოდესის "ჩერნომორეცში დაბრუნებაზეც გააკეთა კომენტარი: *"კახა კარგი მოთამაშეა, მაგრამადრე პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ გუნდში მხოლოდ ისინი დარჩებიან, ვისაც "ანჟიზე" გული შესტკივად. სამწუხაროდ, მჟავანაძის შემთხვევაში ეს ასე არ იყო."*

ცალკე აღნიშვნის ღირსია **გოჩა ხოჯავა**. რუსთავის "ოლიმპიდან" წასვლის შემდეგ, ამ ბიჭს საქართველოში კეთროვანივით ხაზი გადაუსვეს. არადა, "ანჟი" რუსეთის პირველ ლიგაში არცთუ ურიგოდ ასპარეზობს, გოჩა კი ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრია. მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძე** მისი ჩაყვანისთვის მენეჯერ **მამუკა ჯუღელს** ძალიან ემადლიერება.

და არა მარტო მწვრთნელია მადლიერი: დაღესტნური გაზეთი "სპორტი" "ანჟი"-"სკა-ენერგიას" შეხვედრის შემდეგ წერდა: *"მახაჩყალელებმა 2:0 მოიგეს, რაშიც უდიდესი წვლილი ქართველებმა შეიტანეს. ძალიან კარგად გამოიყურებოდა გოჩა ხოჯავა. მის ყოველ ფინტზე მაყურებელი აპლოდისმენტებით რეაგირებდა. ტექნიკური ნახევარმცველი მასპინძელთა თამაშს ალაგებდა და მეტოქეს უდიდეს, დაუძლეველ პრობლემებს უქმნიდა. სწორედ ხოჯავამ გააკეთა მეორე საგოლე პასი და მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა."*

როგორც ჩანს, ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა კრიზისი წარსულს ჩააბარა და ფორმა აღიდგინა. როგორც გვითხრეს, ხოჯავას რუსეთის პრემიერლიგაში იწვევდნენ, მაგრამ "ანჟიმ" არ გაუშვა, რადგან დაღესტნელებს პრემიერლიგაში გადასვლა სურთ და ამის გაკეთება ხოჯავას გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნიათ.

მერაბ მამულაშვილი

ალადაშვილი რუსეთის ვიზას ელის

ანატოლი დემიანენკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართულ სამეულს არენდით გაუშვებენ. **ოთარ მარცვალაძეს** კიევის "არსენალში" უნდა დაეწყო ვარჯიში. **დავით იმედაშვილი** კი, ჯერჯერობით, "დინამო 2"-ში ვარჯიშობს და გუშინწინ "არსენალთან" საკონტროლო მატჩი ჩაატარა. შეხვედრა "მეთოფეებმა" 3:1 მოიგეს, დათომ კი პირველი ნახევარი ითამაშა.

ჩვენთვის ცნობილია მის მიმართ ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიას" ინტერესი, რუსეთში პრიველი წრე დასრულდა და წესით, მოლაპარაკება კლუბებს შორის ახლა უნდა განახლდეს.

რაც შეეხება **კახა ალადაშვილს**, ისიც იმედიანადაა. მართალია, მომავალი კლუბის დასახელებას ერიდება, მაგრამ გვითხრა, რომ რუსეთის ვიზას ელოდება და ორიოდე დღეში მოსკოვში დაინტერესებულ კლუბს მენეჯერთან ერთად უნდა შეხვდეს.

"ჩემი ახალი კლუბის სახელს მალე ვიტყვი. არ მინდა, აჟიოტაჟი ნაადრევად ავტეხო. ფაქტია, რომ ეს გუნდი ძალიან ამბიციურია, დიდი სახელიც გააჩნია და რაც მთავარია, წელს სერიოზული მიზნებისთვის იბრძვის. ნაკრებში დაბრუნება მინდა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ", - ამბობს ალადაშვილი

მერაბ მამულაშვილი

კახა ალადაშვილი

ფანკლუბი კოლონიას ესტუმრა

გუშინ ეროვნული ნაკრების ფანკლუბის წევრები საქველმოქმედო მისიით ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიას ესტუმრნენ. პატიმრები სტუმრებმა ეროვნული ნაკრების ფანკლუბში უფასოდ გაანევრიანეს. ამასთან, არასრულწლოვანთა კოლონიის ბინადრები ეროვნული გუნდის სიმბოლოკით დამშვენებული შარფებით, მაისურებითა და ბურთებით დაასაჩუქრეს. ბოლოს კი სტუმარ-მასპინძლებმა ამხანაგური მატჩი გამართეს, რომელიც კოლონიის ბინადრებმა 6:3 მოიგეს.

"ვფიქრობ, ასეთი აქციები ხშირად უნდა მოეწყოს, რადგან ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას წაადგება. საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფანკლუბი მსგავს აქციებში კიდევ არაერთხელ მიიღებს მონაწილეობას", - განაცხადა ფანკლუბის ხელმძღვანელმა **გიორგი ხაჩიძემ**.

თბილისი კვლავ ჩემპიონია

ქალთა ფეხბურთში მორიგ ჩემპიონატს ლაგოდეხმა და ჭაბუკიანმა უმასპინძლა. მართალია, პირველი წრე აჭარის გუნდმა მოიგო, მაგრამ ჩემპიონატის გამარჯვებული შარშანდელის მსგავსად, კვლავაც თბილისის გუნდი გახდა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატში სულ ოთხი გუნდი მონაწილეობდა: დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, აჭარისა და თბილისის ნაკრები.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამორჩეული მოთამაშეები სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოვა.

საუკეთესო მოთამაშედ **ტატა მატვეევა** (თბილისი) იქნა მიჩნეული. საუკეთესო ბომბარდირი **ლელა ჭიჭინაძე** (თბილისი) გახდა. საუკეთესო მეკარედ **ნინო ჭკუასელი** (თბილისი) აღიარეს, პერსპექტიულ ფეხბურთელად კი **თეონა თოდაძე** (აღმოსავლეთი) მიიჩნიეს.

დავით ცაბაძე

გათამაშებაში ასეთი შედეგები დაფიქსირდა			
აღმოსავლეთი- აჭარა	1:4	დასავლეთი-თბილისი	0:12
დასავლეთი-თბილისი	0:2	აღმოსავლეთი-აჭარა	0:1
აღმოსავლეთი-თბილისი	0:6	აჭარა-დასავლეთი	3:0
აჭარა-დასავლეთი	4:0	აღმოსავლეთი-თბილისი	1:4
აღმოსავლეთი-დასავლეთი	0:6	აჭარა-თბილისი	0:4
აჭარა-თბილისი	1:0	აღმოსავლეთი-დასავლეთი	6:0

იბერია ხორვატიაში

გუშინ უეფას შტაბბინაში ევროპის ფუტზალის თასის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. საქართველოს ამ ტურნირზე ტრადიციულად, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი "იბერია 2003" წარმოადგენს, რომელმაც ფინანსური პრობლემები დაძლია და ახალ ევროსეზონში უფრო წარმატებულად გამოსვლას გეგმავს.

ჩვენი გუნდი მე-5 ჯგუფში მოხვდა ხორვატულ "გოსპიჩთან", რუმინულ "დევასა" და წინასწარი რაუნდის ერთ გამარჯვებულთან (სლოვენიური "პუნტარი", ინგლისური "ვაით ბეარი" ან ანდორული "ენკამპი") ერთად. ჩვენი ჯგუფის მატჩებს ხორვატია უმასპინძლებს, მომდევნო ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გადის. ჯგუფური ტურნირი 8-16 სექტემბერს გაიმართება.

ლევან ჯანეზაშვილი

ნორჩი მცხეთელების წარმატება

ამ დღეებში თურქეთის ქალაქ იზმითში 1995-1996 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის ქოჯაელის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც თურქეთ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის (პრეზიდენტი **მიხეილ გელიაშვილი**) ინიციატივითა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (გამგებელი **ვახტანგ ყიფშიძე**) ფინანსური მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი № 50-ე კომპლექსური სასპორტო სკოლის (დირექტორი **ვანო რთველიაშვილი**, მწვრთნელები: **ელდერ გულბათაშვილი, გურამ ჯაფარიძე, ზურაბ ელყანიშვილი**) ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრებმა.

მცხეთელმა ნორჩებმა მესამე ადგილისათვის გადამწყვეტი შეხვედრა 4:3 მოუგეს ადგილობრივ თანატოლებს და სამახსოვრო თასს დაეუფლენ, ხოლო გუნდის წევრები ფასიანი საჩუქრებით დასაჩუქრდნენ.

ომარ ჩხაიძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი • გადაჰყევი სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობინიოს გოლი ჩილელთა კარში

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი. II ტური

მექსიკა მეტოქეს ელოდება

ბოლო ტურში ბრაზილიელებს იოლი გასეირნება ელით

B ჯგუფი

ბრაზილია-ჩილე	3:0

ბრაზილია: დონი, ჟილბერტო, ალექსი, მაიკონი (26. დანიელ ალვეში), ჟუანი, ჟილბერტო სილვა, მინეირო, ანდერსონი (46. ჟულიო ბაპტიშტა), ელანო (77. ჟოსუე), რობინიო, ვაგნერ ლავი.

ჩილე: კლაუდიო ბრავო, კონტრერასი, ფუენტესი, მარკ გონსალესი, ხარა (46. ლორკა), ორმენიო, რიფო (56. ვარგასი), მელანდესი (20. იტურა), სანუესა, ვალდივია, უმბერტო სუასო.

გოლები: 1:0 რობინიო (34-პენ), 2:0 რობინიო (84), 3:0 რობინიო (88).

გაფრთხილება: 3-5; **დარტყმა:** 5(3)-9(5); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 4-3; **თამაშგარე:** 1-3.

მექსიკა-ეკვადორი	2:1

მექსიკა: სანჩესი, კასტრო, მაგალონი, მარკესი, პინტო, კორეა, მორალესი (83. პინედა), ტორადო, არსე, კაჩო (65. ომარ ბრავო), ნერი კასტილიო (79. ბლანკო).

ეკვადორი: მორა, ბაგი (72. აიოვი), დე ლა კრუსი, ესპინოსა, ურტადო, სეგუნდო კასტილიო, მენდესი, ედვინ ტენორიო (46. რეასკო იანო), ვალენსია, ბენიტესი, კარლოს ტენორიო (79. ბორხა).

გოლები: 1:0 ნერი კასტილიო (22), 2:0 ომარ ბრავო (80), 2:1 ედისონ მენდესი (85).

გაფრთხილება: 0-1; **დარტყმა:** 4(1)-8(4); **ჯარიმა:** 10-12; **კუთხური:** 1-4; **თამაშგარე:** 5-2

რობინიომ ჩილეს ჰეთ თრიკი უძღვნა. კოპა ამერიკის მოქმედმა ჩემპიონმა მექსიკასთან წაგების შემდეგ ძალ-ღონე მოიკრიფა და პირველი ქულები შემატა აქტივს. პენტაკამპეონებმა ანგარიში საკამათო პენალტით გახსნეს. მომდევნო ორი გოლი კი იმ დროს გაიტანეს, როცა ჩილელებს ძალ-ღონე გამოლეული ჰქონდათ. ორი ტურის შემდეგ ბრაზილიასა და ჩილეს სამ-სამი ქულა დაუგროვდათ.

კვირის მატჩები ერთმანეთის მიყოლებით მატურინის "ესტადიო მეტროპოლიტანოზე" გაიმართა. ამ არენის მშენებლობა ერთი წლის წინათ დაიწყო. სამუშაოები ჯერ არ არის დამთავრებული, თუმცა სტადიონზე თამაშების ჩატარების ნებართვა მაინც გასცეს. საბრალო მაყურებელს ტრიბუნამდე მისაღწევად ტალახში უწევდათ გავლა. მომდებარე ტერიტორია სამშენებლო ნარჩენებითაა სავსე.

ასე იყო თუ ისე, ბრაზილიის მატჩის სანახავად მაყურებელმა 52-ათასიანი ტრიბუნები ბოლომდე შეავსო. ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. **კარლოს დუნგას** შეგირდებმა ისევ უფერულად იასპარეზეს. ჩილეს რომ უფრო კარგი შემსრულებლები ჰყოლოდა, პენტაკამპეონებს იმედგაცრუება არ ასცდებოდა.

ნელსონ აკოსტამ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია. მან დაცვაზე გაამახვილა ყურადღება. ბრაზილიას მეტოქის კართან მიახლოება გაუჭირდა. რამდენიმე ეპიზოდის გამოკლებით, რობინიოს ბურთი, ფაქტობრივად, არ მისდიოდა. და აი, 36-ე წუთზე პარაგვაელმა არბიტრმა **კარლოს ტორესმა** პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი: მარცხენა ფრთიდან **ჟილბერტოს** ჩაწოდებულ ბურთს მეკარე **კლაუდიო ტორესი** მშვიდად დაეუფლა, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ კარიდან გამოსვლისას მან მეტოქის თავდამსხმელს ხელი ჰკრა. ამიტომ უმაღლესი სასჯელი გამოუწერა. ჩილელმა ფეხბურთელებმა ეს გადანყვეტილება ხმაურიანად გააპროტესტეს. თადარიგში მყოფ **ხორხე ფრანსისკო ვარგასსაც** კი ყვითელი ბარათი აუფრიალეს, მაგრამ მსაჯი პირს როგორ გატეხდა? რობინიო ბურთთან აუღელვებლად მივიდა და გაიტანა. მან დაბალ და მახვილ კუთხეში დაარტყა. მართალია, ბრავომ ბურთის მიმართულება გამოიცნო, მაგრამ თანაგუნდელები ვერ გადაარჩინა. შესვენების შემდეგ ჩილემ ტაქტიკა შეცვალა და საგრძნობლად გააქტიურდა. **უმბერტო სუასომ** საჯარიმო სახიფათოდ დაარტყა. რამდენიმე წუთში ის ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს, მაგრამ შეყოვნდა და სანამ დასცხებდა, სამმა ბრაზილიელმა მცველმა მოასწრო კარის ხაზზე დადგომა. **ხორხე ვალდივიამ** ახლო მანძილიდან პირდაპირ მეტოქის ფეხბურთელს გაარტყა. ჩილელთა იმედებს ისევ რობინიომ გადაასხა ცივი წყალი. მან **ვაგნერ ლავის** პასი მიიღო და ბრავოს ბურთი თავზე გადაუგდო. სამ წუთში მან ბურთი კარიდან 40 მეტრში მიიღო, ბრწყინვალე დრიბლინგით გვერდი აუარა ჩილელთა ორ მცველს, გაიტანა და საბოლოო ანგარიში დაფიქსირა.

ნელსონ აკოსტა, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული გახლდათ, მაგრამ ბოლოდროინდელ სტატისტიკასაც თვალი უნდა გაუსწოროს. ბრაზილიასთან ბოლო სამ შეხვედრაში მისმა გუნდმა 12 გოლი გაუშვა და ერთიც ვერ გაიტანა. ჩილემ, რა თქმა უნდა, სამივე თამაში წააგო (0:5, 0:4 და გუშინწინდელი 0:3). დიდი ანგარიშით დამარცხებას ისიც დაერთო, რომ სენიორ აკოსტას ძირითაში შემადგენლობის ორი ფეხბურთელი - **რიფო** და **მელანდესი** დაუშავდა. მისმა ვიზავიმ კარლოს დუნგამ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"რთული მატჩი გამოვიდა. მეტოქე მეორე ტაიმში გაიხსნა. იქამდე კი სამოქმედო სივრცე, ფაქტობრივად, არ გვქონდა..."*

B ჯგუფს ერთი მეოთხედფინალისტი უკვე ჰყავს. ეკვადორის დამარცხებით, მექსიკელებმა ვადაზე ადრე გაინაღდეს ფლეი ოფში თამაში. ეკვადორელებმა კი, ზედიზედ მეორე დამარცხებით, ასევე ვადაზე ადრე დაიჯავშნეს შინ გასამგზავრებელი ბილეთები. საეჭვოა, ბოლო ტურში, მათ ბრაზილიელებთან რაიმე გააწყონ. მექსიკელთაგან კვლავ გამოიჩინა თავი **ნერი კასტილიომ**, რომელმაც სამი დღით ადრე ბრაზილიასაც გაუტანა პირველი გოლი.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მექსიკა	2	2	0	0	4-1	6
2. ბრაზილია	2	1	0	1	3-2	3
3. ჩილე	2	1	0	1	3-5	3
4. ეკვადორი	2	0	0	2	3-5	0

ლაუდრუპი შუსტერის ნაცვლად

*გაზეთი "მარკა" იუწყება, რომ "ხეტაფეში" **ბერნდ შუსტერის** ადგილს ლეგენდარული დანიელი ფეხბურთელი **მიხაელ ლაუდრუპი** დაიკავებს. ის კლუბს კონტრაქტის დეტალებზე უკვე მოურიგდა. მისი დანიშვნის თაობაზე ოფიციალური განცხადება შუსტერის აბარგებისთანავე გაკეთდება. მოგეხსენებათ, გერმანელი სპეციალისტი "რეალში" მიდის. ორი დღის წინათ "ხეტაფეს" პრეზიდენტმა **ანხელ ტორესმა** თქვა, რომ შუსტერს მადრიდელებთან თანამშრომლობაში ხელს არ შეუშლის: "ბერნდმა მითხრა, რომ "რეალს" მისი დანიშვნა სურს და თვითონაც ძალიან უნდა სამეფო კლუბში წასვლა. რა გაეწყობა? მას საუკეთესო სურვილებით დავემშვიდობებით. ჩვენ ხომ კარგი მეგობრები ვართ." ეს განცხადება რადიკალურად განსხვავდება იმ კომენტარებისგან, რომელთაც სენიორ ტორესი ცოტა ხნის წინათ აკეთებდა. ის მადრიდელებს შუსტერთან ფარულ მოლაპარაკებებში სდებდა ბრალს და ფიფუაში ჩივილით ემუქრებოდა.*

ალექსანდრე იაშვილი

ლეგიონერი

რანგნიკი: იაშვილმა ფულს ელიტა ამჯობინა

ჰოფენჰაიმის მწვრთნელი ქართველის გადაწყვეტილებას აფასებს

„ალექსანდრე იაშვილის გადმობირება ძალიან მინდოდა. ის მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო და რაკი თავისუფალი აგენტი გახდა, დრო ვიხელთეთ და შესანიშნავი წინადადებით მივმართეთ. მაგრამ მან თავაზიანი უარი გვითხრა – პირველ ბუნდესლიგაში თამაში მირჩევნიაო. მე ვაფასებ მის გადაწყვეტილებას," – განუცხადა რანგნიკმა „კიკერს". გერმანელი ჟურნალისტი იქვე აღნიშნავს, რომ „ჰოფენჰაიმი" იაშვილს „კარლსრუეზე" გაცილებით მაღალ ხელფასს სთავაზობდა.

სხვათა შორის, ეს ის „ჰოფენჰაიმია", თავის დროზე **კლაუს ტოპმიოლერში** რომ გვეცილებოდა და ტოპის მოთაფლვას დიდი ფულით რომ ცდილობდა. მაშინ კლაუსმა საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, „ჰოფენჰაიმში" მუშაობას კი „შალკეს" ექს-თავკაცი, ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული გერმანელი სპეციალისტი, რანგნიკი დათანხმდა...

გოტფრიდ ლენცი

მიროსლავ კლოზე

ბაიერნი

რატომ აირჩია კლოზემ 18 ნომერი

მირომ 13-ზე და 10-ზე უარი თქვა...

*„ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰაინესმა** „მიუნხენერ თაგესცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში იმაზე ისაუბრა, თუ რატომ და რა ვითარებაში აირჩია **მიროსლავ კლოზემ** მე-18 ნომერი: „მიროს თავიდან 13 ნომერი ვურჩიე და ვუთხარი, ამ ნომერმა გერდ მიულერს მექსიკის მუნდიალზე დიდი წარმატება მოუტანა-მეთქი, მაგრამ მე-13 ნომერზე უარი თქვა. ამის შემდეგ მე-10 ნომერი შევთავაზე – რაკი როი მაკაიმ დაგვტოვა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და ფანებისთვის უსაყვარლესი ნომერი გათავისუფლდა. ამაზე კლოზემ დიდხანს იფიქრა, მაგრამ ბოლოს მაინც უარი თქვა, 10 ნომერი არ შემეფერებაო. მერე გამახსენდა, რომ ანდრეას გიორლიტციც გავანათხოვრეთ, შესაბამისად, მე-18, იურგენ კლინსმანის ნომერი თავისუფალი იყო. თანაც, მიროს ვუთხარი, 9 რომ 2-ზე გავამრავლოთ თვრამეტია-მეთქი. გაეცინა და გადაწყვიტა, კლინსმანის ნომრით ითამაშოს."*

აღსანიშნავია, რომ მე-10 ნომერი თავისუფალია და დიდი შანსია, რომ მომავალ სეზონში უპატრონოდ იყოს. **მარსელ იანსენმა** 23-ე ნომერი აიღო, **ფრანკ რიბერიმ** 7, **ჰამით ალთინთოფმა** 8, **ზე რობერტომ** 15, **ხოსე ერნესტო სოსამ** 20, **ლუკა ტონიმ** კი 9. უნომროდ ჯერ მხოლოდ **იან შლაუდრაფია**. არაა გამორიცხული, რომ ათიანი მას დარჩეს...

გერმანიის თასის წილისყრა

კობის ტრირი, იაშკას ნოიშტერლიტცი...

შაბათს, გერმანიის თასის პირველი ეტაპის წილისყრა გაიმართა, რომელიც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** ჩაატარა. გერმანიის თასის მფლობელი „ნიურნბერგი" პირველ ეტაპზე მეხუთე ლიგაში მოასპარეზე ჰამბურგის „ვიქტორიას" ესტუმრება, მოქმედი ჩემპიონი „შტუტგარტი" კი მეორე ბუნდესლიგაში აღზევებულ ვისბადენის „ვეენს". **ლევან კობიაშვილის** „შალკეს" მეტოქე ტრირის „აინტრახტია" და აღსანიშნავია, რომ 1997/98 წლების სეზონში ამ გუნდმა „ხუმარები" თასიდან გაადგო (1:0). მიუნხენის „ბაიერნს" თასის პირველ ეტაპზე ბავარიული დერბი ელის „ბურგჰაუზენთან". ბრემენის „ვერდერის" მეტოქე კი რეგიონლიგელი „ბრაუნშვაიგია". საინტერესო ის გახლავთ, რომ „ბრაუნშვაიგს" ლეგენდარული ბრემენელი **ბენო მიოლმანი** წვრთნის. ჩრდილოეთის დერბი ელის „ჰამბურგსაც" - **ჰუუბ სტევენსის** გუნდი „ჰოლშტაინ კილს" დაუპირისპირდება. დორტმუნდის „ბორუსიას" „მაგდებურგთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუეს" მეტოქე მოკრძალებული „ნოიშტრელიტცია", ასე რომ, ბადენელებს პირველი ეტაპის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეთ. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენ 1860" „ფერლს" დაეჯახა, **ოთარ ხიზანეიშვილის** „ფრაიბურგი" „ფილინგენს", ხოლო **დავით სირაძის** „პადერბორნი" კი ლევერკუზენის „ბაიერის" მეორე გუნდს.

პირველ ეტაპზე სულ 64 გუნდია. მატჩები ბუნდესლიგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 4 აგვისტოს გაიმართება. ფინალი 2008 წლის 19 აპრილს დაიგეგმა. ასეთი ნაადრევი ფინალის მიზეზი ის გახლავთ, რომ 7 ივნისს ევროპის ჩემპიონატი იწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაციო

უფრო ძლიერი ლაციალე

სკალონი და პატარა ზიდანი რომაელები არიან, როკი რჩება, მომავალ კვირაში ლოტიტო სხვებსაც იტყვის. ამელია? ლივორნომ, ან ფული, ან არაფერიო...

"ლაციო"მეტად საინტერესო და დატვირთული სეზონისთვის ემზადება. ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, "ბიანკოჩელესტე" ჩემპიონთა ლიგაში ბრუნდება. მართალია, "ლაციალე" ტურნირის აღმართს საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეუდგება, მაგრამ **დელიო როსის** გუნდს ამ ბარიერის გადალახვა რომ არ უნდა გაუჭირდეს, ამაში ყველა თანხმდება. ასევე ყველა ერთ აზრზეა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი სეზონისთვის გუნდს გაძლიერება დასჭირდება. ეს აქსიომაა.

გასულ სეზონში გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა, რაც ბევრისთვის სენსაცია იყო იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რომელშიც გუნდი 2006 წლის ზაფხულში აღმოჩნდა. ხალხი ფიქრობდა, რომ "კალჩოპოლის" სკანდალის გამო ქულებდაკლებული "ლაციოს" მთავარი მიზანი სერია A-ში ადგილის შენარჩუნება იქნებოდა. მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად, როსის გუნდმა ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და მაქსიმუმს გამორჩა.

პრაგმატული, ხელმომჭირნე პრეზიდენტისა და ნიჭიერი მწვრთნელის ხელში "ლაციომ" ახალი ეპოქა დაიწყო. **სერჯო კრანიოტის** დრო, როცა ფეხბურთელებს ყიდულობდნენ იმისთვის, რომ... ეყიდათ, და მილანური გრანდებისა თუ "იუვენტუსისთვის" მოჩვენებითი კონკურენცია გაეწიათ, კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. ისიც მართალია, რომ კრანიოტის ხელში "ლაციომ" სკუდეტოც მოიპოვა (1999/00) და თასების თასიც (1998/99), მაგრამ გაუაზრებელმა ფინანსურმა პოლიტიკამ, ფულის აქეთ-იქით ფრიალმა, კლუბი გაკოტრების პირას მიიყვანა...

...და ამ დროს, "ლაციოს" მხსნელად მოევლინა ვინმე **კლაუდიო ლოტიტო**, საფეხბურთო წრეებში მანამდე უცნობი, თუმც საკმაოდ წარმატებული ფინანსისტი. ლოტიტოს პოლიტიკას ნელნელა მოაქვს ნაყოფი. "ბიანკოჩელესტეს" ერთგული "ულტრასებისთვის" ეს მხოლოდ დასაწყისია. მიმომხილველები და ექსპერტები კი ფიქრობენ, რომ ახალი "ლაციოს" მშენებლობის გზაზე მომავალი სეზონი გადამწყვეტი იქნება...

დღესდღეობით, გუნდში რამდენიმე ვაკანტური პოზიციაა. როსის მთავარი საფიქრალი **ანჯელო პერუცისთვის** სრულყოფილი შემცვლელის გამონახვაა, მით უმეტეს, გუნდიდან წასვლას აპირებს კიდევ ერთი გამოცდილი მეკარე **მატეო სერენიც**, ვეტერანმა (თუ მას უბრალოდ ვეტერანი ჰქვია) **მარკო ბალოტამ** კი 43-ს გადააბიჯა. ამ მნიშვნელოვან რგოლში "ლაციოს" რამდენიმე კანდიდატურა ჰყავს. მათ შორის, პირველ ნომრადაა "ლივორნოს" კარის დარაჯი **მარკო ამელია**, იტალიის ნაკრების მესამე კიპერი. მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. ლივორნოელი ბოსი **ალდო სპინელი** უპირობოდ ითხოვს 5 მილიონ გირვანქას, მაშინ, როცა დედაქალაქელები ტოსკანელებს მოთამაშეთა გაცვლას სთავაზობენ. სპინელის ფეხბურთელები არ სჭირდება. *"გუნდში 26 მოთამაშე გვყავს და ზედმეტი არავინ გვჭირდება. ან მოგვცემენ იმდენს, რამდენსაც ვითხოვთ, ან ყოველგვარი მოლაპარაკება შეწყდება და ამელია ჩვენთან დარჩება"* - ცხადრობს "ლივორნოს" პრეზიდენტი.

ერთ-ერთი ძლიერი ალტერნატივაა "უდინეზეს" მეკარე **მორგან დე სანკტისი**, რომელიც ესპანურ კლუბებსაც სურთ. მოლაპარაკებები მიდის **ხუან პაბლო კარისოს** ("რიველ პლეიტი"), **დიეგო ალვეშისა** ("ატლეტიკო მინეირო") და **ოსკარ ალფრედო უსტარის** ("ინდეპენდიენტე") თაობაზეც.

სამაგიეროდ, სერიოზული შევსებაა დაცვაში. გამოცდილი არგენტინელი მცველი, "დეპორტივოსა" და "ვესტ ჰემის" ყოფილი მოთამაშე **ლიონელ სკალონი** უკვე ჩაირიცხა "ლაციოში" და როსის იმედი აქვს, რომ ამით ორ კურდღელს დაიჭერს. სკალონის, რომელსაც სეზონურად 300 ათას გირვანქას გადაუხდიან, დაცვაშიც შეუძლია თამაში და საყრდენადაც. შვეიცარიელ **ვალონ ბეჰრამის** კი საშუალება მიეცემა, წინ წაიწიოს და მარჯვენა ფლანგზე მისთვის ჩვეულ პოზიციას დაუბრუნდეს. ლოტიტოს თქმით, სკალონის მოსვლა იმას ნიშნავს, რომ **მანუელ ბელერის** რომელიმე გუნდში გაანათხოვრებენ.

ძალიან აქებენ **ალექსანდრ კორალოვს**, რომელიც "ფორმელოში" ბელგრადის ოფკ-დან მიიყვანეს. კორალოვი მარცხენა მცველია. სერიოზული შენაძენია **მურად მეგნიც**, ფრანგი ნახევარმცველი, რომლის მეტსახელია "პატარა ზიდანი", თან წარმოშობითაც ალჟირელია. მეგნი წლების განმავლობაში თამაშობდა "ბოლონიაში", სადაც უკვე მომწიფდა იმ დონის მოთამაშედ, რომ სერია A-ში სცადოს ძალები. ის შემტევი ყაიდის ნახევარმცველია. იმედისმომცემ მოთამაშეს სეზონურად 320 ათასი გირვანქა დაუნიშნეს.



ლიონელ სკალონი

მოსაფიქრებელია წინა ხაზის ფორმაციაც. ლოტიტოსა და როსისთვის მთავარი პრობლემა იყო **ტომაზო როკი**, რომელიც გუნდიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ ფეხბურთელთან უკვე მიღწეულია შეთანხმება და რომში ის კიდევ ორ სეზონს დაყოფს. ამას გარდა, გუნდში მოვიდა 26 წლის ნიჭიერი თავდამსხმელი **სიმონე დელ ნერო**, რომელიც "ბრეშას" ღირსებას იცავდა და ლომბარდიული კლუბის გავარდნამდე, სერია A-შიც უთამაშია. მაგრამ როკის მაინც სჭირდება უფრო ძლიერი და გაცილებით სახელიანი მეწყვილე, რომელიც საშუალებას მისცემდა მწვრთნელს, მისთვის საყვარელ და ძირითად ტაქტიკურ სქემაზე (4-3-1-2) გადასულიყო. აქ მთავარი სამიზნეა ურუგვაელი **ხავიერ ერნესტო ჩევანტონი**, რომელიც ამჟამად "სევილიაშია", მაგრამ **ფრედერიკ კანუტეს** ჩრდილში ბოლომდე ვერ გაიხსნა. საგულისხმოა, რომ ჩევანტონი, "ლეჩეში" ყოფნისას, სწორედ როსის შეგირდი გახლდათ. ახალი ფორვარდი საჭიროა მით უფრო, რომ **სიმონე ინძაგი** და ალბანელი **იგლი ტარე**, როგორც ამბობენ, ჩემოდნებზე სხედან. აქვე უნდა ითქვას, "ლაციოს" ჰყავს საკმაოდ საინტერესო, შემტევი ტიპის მოთამაშეები - **სტეფანო მაური, გორან პანდევი, პასკუალე ფოჯა**... სხვათა შორის, რომაელებმა "პალერმოს" **სტივენ მაკინვასთვის** გამართული აუქციონი მოუგეს და 24 წლის ნიგერიელზე, ასე ვთქვათ, სრული კონტროლი დაამყარეს. მაგრამ არც მაკინვაა ის ფიგურა, ვისაც როსი უპირობოდ შეიძლება ენდოს. საქმე ისაა, რომ ბოლო სეზონში მაკინვამ 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა და "ლაციოს" ყულაბას მხოლოდ 3 გოლი მიუთვალა...

ამ ეტაპზე, ლოტიტო და როსი სატრანსფერო კამპანიით კმაყოფილებას ვერ მალავენ. პრეზიდენტი პირობას აძლევს ტიფოზებს, რომ მიმდინარე კვირაში ცნობილი გახდება კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის ვინაობა. დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მათგანი მეკარე იქნება.

არსენალი

ვენგერმა და სილვა დაიმაჯა

ლუპოლი ფიორენტინაში წავიდა, ბაბელი ლონდონში გადასვლას არ ჩქარობს

"არსენალმა" ზაგრების "დინამოს" თავდამსხმელი **ედუარდო და სილვა** შეიძინა. ფორვარდს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მის სანაცვლოდ კი 6 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. და სილვა 24 წლისაა. ის წარმომავლობით ბრაზილიელია, მაგრამ ცხრა წელია ევროპაში ცხოვრობს, 2002 წელს ხორვატიის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ნაკრებში ჩაირიცხა. ხორვატთა მაისურით მან 12 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი შეაგდო, მათ შორის, ინგლისელთა კარში ოქტომბრის საკვალიფიკაციო მატჩისას (2:0). ედუარდოს "არსენალიც" ჰყავს დამნუხრებული. გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში ზაგრებული კლუბი "მეთოფეებთან" დამარცხდა, თუმცა და სილვამ "ემირატს სთედიუმზე" იყოჩაღა. მან ხორვატიის ჩემპიონატიც სარეკორდო მონაგარით, 34 სალიგო გოლით დაასრულა. **არსენ ვენგერს** სწორედ მისი ყაიდის თავდამსხმელი სჭირდებოდა.

ლონდონელები იტალიელ ფორვარდ **არტურო ლუპოლის** გამოეთხოვნენ. 20 წლის ფეხბურთელმა გასული სეზონი იჯარით "დერბიში" გაატარა. "დერბი ქაუნთიმ" პრემიერლიგის საგზური გაიღდა. ლუპოლი ლონდონში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ "ფიორენტინამ" სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა და სამშობლოსაკენ აიღო გეზი. ლუპოლი "არსენალის" სარეზერვო გუნდში 2004 წელს ჩაირიცხა. მან პრემიერლიგაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა. მოსიე ვენგერი იტალიელს უმეტესად ლიგის თასის მატჩებში აყენებდა.

ედუარდო და სილვა

და კიდევ, აიაქსელმა თავდამსხმელმა **რაიან ბაბელმა** განაცხადა, რომ "არსენალში" ტრანსფერის საკითხი ჯერაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, მაგრამ ფეხბურთელი მინიმუმ კიდევ ერთი სეზონი ამსტერდამში დარჩენას აპირებს. მას უფრო მეტი გამოცდილების დაგროვება სურს, სანამ მსოფლიოს უძლიერეს ლიგას მიაშურებდეს. ბაბელი 20 წლისაა და ჰოლანდიის ნაკრების კანდიდატად ითვლება.

ვესტ ჰემი

ფობერი აპტონ პარკზე

რეო-კოკერმა ასტონ ვილაში სამედიცინო შემოწმება გაიარა

"ვესტ ჰემმა" ბორდოელი ნახევარმცველი **ჟულიენ ფობერი** შეიძინა. 23 წლის ფეხბურთელმა ლონდონელებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი ხელფასის ოდენობა უცნობია. ფრანგულმა კლუბმა კომპენსაციის სახით 6.1 მილიონი გირვანქა მიიღო. ფობერი "ჩაქუჩების" თავკაცის **ალან კერბიშლის** მეორე შენაძენია. იქამდე მან "ნიუკასლის" კაპიტან **სკოტ პარკერს** გაუფორმა კონტრაქტი. რამდენიმე დღით ადრე კერბიშლი ჩარლტონელი თავდამსხმელის **დარენ ბენტის** ყიდვას ცდილობდა, მაგრამ ეს უკანასკნელი "ტოტენჰემის" ნაკლებად სარფიან წინადადებას დათანხმდა.

რაც შეეხება ფობერს, მან კარიერა კანში დაიწყო, სამი წლის წინათ კი "ბორდოს" მიაშურა. ერთი წლის წინათ ჟულიენი საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი გახდა. აგვისტოში კი ფრანგების ეროვნული გუნდის მაისურა მოირგო, უფრო მეტიც, ბოსნიასთან სადებიუტო შეხვედრაში გოლი გაიტანა (2:1). მისი სანაკრებო ნათლობა იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ ფობერს 10-ნომრიანი მაისურა ეცვა, პირველად **ზინედინ ზიდანის** პენსიაში გასვლის შემდეგ. "ვესტ ჰემის" გარდა, ამ ბიჭს "რეინჯერსი" და "რომა" ეპატიჟებოდნენ.

დასასრულს მიუახლოვდა მოლაპარაკებები "ასტონ ვილასთან". ლონდონელთა კაპიტანმა **ნაიჯელ რეო-კოკერმა** ბირმინგემში სამედიცინო შემოწმება გაიარა და უახლოეს საათებში კონტრაქტსაც გააფორმებს. "ვესტ ჰემს" 8 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბირმინგემელთა პირველი საზაფხულო შენაძენი იქნება. **მარტინ ონილს** ნახევარდაცვის გაძლიერება სჭირდება, რადგან **გევინ მაკანმა** ბოლტონს მიაშურა, ხოლო **სტივ დევისი** "ფულჰემში" ჩაირიცხა. რეო-კოკერი "ვესტ ჰემში" სამწლინახევრის წინათ, თანაქალაქელი "უიმბლდონიდან" გადავიდა. მაშინ ის 500 ათას გირვანქად იყიდეს.

კაპელო ჩინეთში: დასასვენებლად თუ სამუშაოდ?

"რეალიდან" დათხოვნილი **ფაბიო კაპელო** შვებულების გასატარებლად ჩინეთში გაემგზავრა. ჩინურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და სპეკულაციების ტალღა ააგორეს. მათი მტკიცებით, იტალიელი სპეციალისტი ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებსაც შეხვდება და შეიძლება, ნაკრების მწვრთნელადაც კი მოგვევლინოს. ამ ინფორმაციას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ცნობილია, რომ ჩინელთა დღევანდელ დამრიგებელ **ჩჟუ გუანხუს** ნყალი აქვს შეყენებული და მის ნაცვლად ავტორიტეტული მწვრთნელის მიყვანას აპირებენ.

ბოკშიჩმა ზემანს ხორვატიაში უხმო

სპლიტის "ჰაიდუკის" მთავარ მწვრთნელად, შეიძლება, **ზდენეკ ზემანი** დანიშნონ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ალენ ბოკშიჩი** სასურველ კანდიდატებთან პირადად აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამ ეტაპზე ყველაზე რეალურია სკანდალურად ცნობილი ჩეხი სპეციალისტის მიწვევა. ჰაიდუკმა უნდა იჩქაროს. 19 ივლისს მას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ელის. ხორვატების მეტოქე ჩერნოგორიული "ბუდუჩნოსტი" იქნება. ბოკშიჩი იმედოვნებს, რომ ამ თამაშისათვის "ჰაიდუკს" ახალი მწვრთნელი მოამზადებს.

მანჩესტერული კონტრაქტები

ნანიმ და **ანდერსონმა** "მანჩესტერ იუნაიტედთან" ხუთწლიანი კონტრაქტები გააფორმეს. პორტუგალიელი გარემარბისა და ბრაზილიელი ნახევარმცველის ტრანსფერები "ეშმაკებს" 30 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. მათ გარდა, "მენიუსთან" ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა პოლონელმა მეკარე **ტომაშ კუშჩაკმაც**. ის დღემდე "ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" საკუთრება იყო და "იუნაიტედში" იჯარის წესით თამაშობდა. კუშჩაკი **ედვინ ვან დერ სარის** დუბლიორი იყო. მან პრემიერლიგაში ექვსი და ასოციაციის თასზე ხუთი შეხვედრა ჩაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ჩეზარე პრანდელისთან

ვკარგავთ თავდასხმას, ვიგებთ შუა ხაზში

"ფიორენტინის" მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი სარდინიის ზღვის სანაპიროზე ისვენებს. ვიდრე მას "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი შეეხმიანებოდა, დილით, სახლიდან 8 კილომეტრის მოშორებით, გოლფი ითამაშა. მერე ზღვის აბაზანები მიიღო და მზეს მიფიცხებულმა, პირველი მხატვარი ქალის არტემიზიას ბიოგრაფია წაიკითხა. დადის ფეხბურთზეც. სარდინიაში, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ კუთხეში, ამ დროისთვის ტრადიციული ახალგაზრდული საფეხბურთო ტურნირები იმართება. მწვრთნელი სწორედ ერთ-ერთ ასეთ ტურნირს სტუმრობდა, როცა "გაძეტადან" დაურეკეს...

პრანდელი ერთადერთი მწვრთნელია, რომელმაც ორჯერ მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის საგზური და... ორივეჯერ მის მიღმა დარჩა. პირველად, ეს იყო შარშან, როცა "კალჩოპოლის" გამო "ფიორენტინას" ქულებიც ჩამოართვეს და, შესაბამისად, ლიგის საგზურიც. ბოლო სეზონში კი, თუ 19-ქულიან დეფიციტს არ გავითვალისწინებთ, მესამე ადგილი ეკუთვნოდა. ასე რომ, პრანდელის კიდევ ერთხელ გაუფრინდა ხელიდან ლიგა, რომელიც ასე ადვილად არ მოდის და რომელსაც უზარმაზარი შრომა სჭირდება... ეს სეზონი "ვიოლასთვის" მძიმე გამოცდა იქნება. გუნდი უნდა მიეჩვიოს ლუკა ტონის გარეშე თამაშს, თუმც გასული ჩემპიონატის ბოლო ტურებში ამას ასე თუ ისე ახერხებდა. ტონის მემკვიდრედ, პრანდელის ახალგაზრდა ჯანლუკა პაცინი მიაჩნია. შეიძლება, მას სხვა რომელიმე, უფრო მაღალი კალიბრის ფორვარდის ყიდვაც სურდა, მაგრამ იცის, რომ ამ ეტაპზე "ფიორენტინას" მეტი არ შეუძლია. თუმცა "ვიოლას" დამრიგებელი იმედს იტოვებს, რომ სატრანსფერო ბაზარი ჯერ არ დასრულებულა...

ჩეზარე პრანდელი

- პრანდელი, რა ხდება? რა დროს ფეხბურთია?

- ჩვეულებრივი მოთხოვნილებაა, სხვაგვარად არ შემიძლია. აქ 21-წლამდელთა ტურნირები ტარდება... თუმცა დასვენებასაც ვახერხებ, თან ფრიად კარგადაც.

- თითქოს, "ფიორენტინაც" 21-წლამდელთა გუნდი ხდება. ახალი ფეხბურთელებიდან ლუპოლი 20 წლისაა, ვანდენ ბორე 19-ის, ჰაბლე კი 18-ის. ძნელი არ არის ესოდენ ახალგაზრდულ გუნდთან მუშაობა? თან, იტალიის ჩემპიონატიდან გამომდინარე...

- არანაირი სიძნელე, პირიქით, ჩემთვის ეს სტიმულია. მთავარია, თითოეულ მოთამაშეს დავალება და სათქმელი უბრალო, გასაგებ ენაზე და სწორად მიანოდო.

- როგორ? მართლა ასე უბრალოდაა საქმე?

- არ ვნერვიულობ. თუ მომავალ სეზონში ორი-სამი საფეხურით დავქვეითდებით, ამაში საგანგაშო არაფერი იქნება. ამ ეტაპზე, მთავარია, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ, ტიფოზებს ვასიამოვნოთ და ეს არის სწორედ იმ პროექტის ნაწილი, რომელიც მომავალ ორ-სამ წელიწადზეა გათვლილი.

- და მაინც, მზად ხართ გრანდებთან კონკურენციისთვის?

- ჩვენ მზად ვიქნებით ყველაფრისთვის, იმისთვისაც, რომ პირველი ადგილისთვის ვიბრძოლოთ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ - ფუნდამენტურია, რომ ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას ბოლო წლებში ვაკეთებდით. "ფიორენტინაში" მხოლოდ ლაპარაკი არ უყვართ, აქ საქმეც კეთდება.

- უყურეთ ტელევიზიის პირდაპირ ეთერში პანტალეო კორვინოს ("ფიორენტინის" სპორტული დირექტორი - რედ)?

- რა თქმა უნდა.

- კორვინო პალადინოსა და ნოჩერინოზე ("იუვენტუსის" ახალგაზრდა მოთამაშეები - რედ) საუბრობდა...

- დაიხ. მოდით, ასე გიპასუხებთ: "ფიორენტინას" მოსწონს ყველა ფეხბურთელი, რომელსაც აქვს კლასი, მონაცემები და ის სულისკვეთება, რასაც ჩვენ ვითხოვთ. ვთვლი, რომ ნოჩერინოც და პალადინოც მათ რიცხვში არიან.

- შეუძლია "ფიორენტინას", რომ ამ მოთამაშეებში 15 მილიონი ევრო დააბანდოს?

- როგორც ვიცი, "იუვენტუსი" ამ ბიჭების გასხვისებას არ აპირებს. სხვას ვერაფერს გეტყვით. სჯობს, ამ თემაზე კორვინოს დაელაპარაკოთ. მისგან გაცილებით მეტს გაიგებთ... მაგრამ შეიძლება, ვერც ვერაფერი გაიგოთ...

- რატომ?

- იმიტომ, რომ სატრანსფერო ბაზარს თავისი სპეციფიკა აქვს. მე მგონი, მიმიხვდით...

- კეთილი. ვის უფრო ენდობით ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან და რომელი მათგანია მზად იმისთვის, რომ ატაროს "ფიორენტინის" მაისურა?

- მოდით, ნუ დავაკონკრეტებთ და ესეც არ იყოს, სულაც არ არის საქმე ასაკში. მთავარი მენტალიტეტია. ახალგაზრდები არიან, გაიზრდებიან... დააკვირდით, 18-19 წლის ფეხბურთელები უკვე ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ...

- კი, მაგრამ ფაბიო კვალიარელაც ახალგაზრდაა. რას ფიქრობთ მასზე?

- მან უკვე თქვა, რომ "უდინეზეში" რჩება... თქვენ გინდათ, გაიგოთ, მომწონს თუ არა?

- დიახ, მინდა გავიგო...

- მომწონს. მას აქვს კლასი, კარგი დარტყმა, სისწრაფე... ვალტერ ნოველინოს ხელში დისციპლინასაც შეეჩვია.

- დონადელმა კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა. ახლა პაცინისა და ბოჟინოვის ჯერია?

- ამ შემთხვევაში, ვიზიარებ კლუბის ხელმძღვანელობის ხედვასა და პოზიციას. გვჭირდება ის ფეხბურთელები, რომელთაც ჩვენი პროექტის სჯერათ და მართლა სურთ, რომ ამ პროექტის ნაწილად იქცნენ.

- როგორ აპირებთ ლუკა ტონის შეცვლას?

- უნდა ვენდოთ პაცინის. სხვა გამოსავალი არ გვაქვს... და მგონია, რომ ახლა არ იქნებოდა სწორი ალტერნატიული გზის ძებნა.

- ჰოლანდიაში ახლახან გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში პაცინის ერთი გოლიც არ გაუტანია. ალბათ, იმედგაცრუებული იქნებით...

- არა. იცით, მე ვფიქრობ, კაზირაგის გუნდმა იმაზე მეტი დაიმსახურა, ვიდრე მიიღო. გახსოთ ის გოლი სერბეთთან? ყველაფერი ამან აურია. რაც შეეხება პაცინის... დიახ, გოლები არ იყო, მაგრამ ვნახე ბევრი პოზიტიური მომენტიც. შეიძლება, ის გაცილებით მეტად იყო დაკავებული ბურთის საჯარიმოში ჩანოდებით, რადგან ამას ითხოვდა სათამაშო სიტუაცია...

- აპირებს "ფიორენტინა" ტაქტიკური სქემის შეცვლას? მაგალითად, 4-2-3-1 ცუდია?

- ჩვენ ეს უკვე ნაფიქრი გვაქვს. არ ვიცი, თუ გახსოვთ, ორი წლის წინათ, დაცვის მოთამაშეები წინ დავაყენეთ ბროკი და დონადელი. ბროკი წავიდა, ახლა ჩვენ გვყავს მონტოლივო, რომელიც ჩინებულად ფლობს ბურთს. ალბათ, საჭირო იქნება, რომ მუტუ უფრო ახლოს იყო პაცინისთან. ჩვენ ვკარგავთ ცენტრალურ თავდამსხმელს, მაგრამ ვეცდებით, მოვიგოთ მოედნის შუაგულში.

- ლამაზ არდადეგებს გისურვებთ... ისე, სჯობს გათიშოთ ტელეფონი...

- აუცილებლად...

ბასლერი კობლენცის თანამწვრთნელია

მარიო ბასლერი სამწვრთნელო საქმეს უბრუნდება. 38 წლის "სუპერმარიო" გუშინ მეორე ბუნდესლიგელი „კობლენცის" მთავარი მწვრთნელის **უვე რაპოლდერის** პირველ თანაშემწედ დაინიშნა. *„შესანიშნავი ქალაქი, კარგი გუნდი, არაჩვეულებრივი მწვრთნელი - რაპოლდერისგან ბევრ რამეს ვისწავლი, რაც მომავალში გამომადგება,"* - განაცხადა ბასლერმა. შეგახსენებთ, მან სამწვრთნელო ლიცენზია ორი წლის წინათ აიღო, რის შემდეგაც ჯერ „რეგენსბურგს", მერე კი „ვატენშაიმს" თავკაცობდა.

იუვე: თუ მილიტო არა, მაშინ ანდრადე

საძმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "იუვენტუსი" **გაბრიელ მილიტოს** ვერ იყიდის. არგენტინელ მცველს, თურმე, "ბარსელონაში", **ლიონელ მესის** გვერდით ურჩევნია თამაში. ამას გარდა, მილიტო "რეალსაც" აინტერესებს. და ესეც არ იყოს, "სარაგოსას" ტურინელთა მიერ შეთავაზებული თანხა ეცოტავება. "იუვენტუსი" 11 მილიონ გირვანქაზე მეტს არ გადაიხდის...

ამასობაში, "ბიანკონერიმ" ალტერნატივას მიაგნო. ესპანური სააგენტოების ცნობით, "ქალბატონმა" "დეპორტივოს" მცველ **ჟორჟე ანდრადეს** დაადგა თვალი. 29 წლის პორტუგალიელს ლაკორუნიელებთან კონტრაქტი 2008 წელს ეწურება. ამ კონტრაქტში წერია, რომ ანდრადეს შეუძლია, დატოვოს "დეპორი", თუკი მასში 6.5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. ალბათ, "იუვესთვის" ამ თანხის გადახდა პრობლემა არ იქნება.

სარაგოსელთა სამი ტრანსფერი

"სარაგოსამ" შემადგენლობის გაძლიერება "მანჩესტერ იუნაიტედის" ხარჯზე გადაწყვიტა. არაგონელებმა 14 მილიონი გირვანქა გაამზადეს, რათა "ეშმაკებისაგან" ორი ფეხბურთელი იყიდონ. მათ 20 წლის **ხერარდ პიკესა** და მისი თანატოლი **ჯუზეპე როსის** დასაკუთრება უნდათ. პიკემ გასული სეზონი იჯარით "სარაგოსაში" გაატარა. როსიმ, ასევე იჯარით, ბოლო ექვსი თვე "პარმაში" დაყო. ესპანური კლუბი თითოეულ მათგანში 7 მილიონ გირვანქას იხდის.

სარაგოსელთა კიდევ ერთი ახალწვეული **ფრანსელინო მათუსალემი** იქნება. ბრაზილიელი ნახევარმცველი "შახტარს" სკანდალურად გამოეთხოვა. ის არ დაელოდა მოლაპარაკებების დასრულებას და დონეცკელთა შეკრება უნებართვოდ მიატოვა. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. "შახტარის" თავკაცი **მირჩა ლუჩესკუ** მომხდარში მათუსალემის აგენტს ადანაშაულებს.

ვალენსიური მიდი-მოდი

"ვალენსია" ბარსელონელი **ჟულიანო ბელეტით** დაინტერესდა. ბრაზილიელი მარჯვენა მცველზე იმ შემთხვევაში იფიქრებენ, თუ პორტუგალიელი **მიგელი** სხვა სამსახურს მონახავს. ლისაბონის "სპორტინგში" იჯარით გატარებული ერთი წლის შემდეგ "ვალენსიაში" დაბრუნდება **მარკო კანეირა**, თუმცა შეიძლება უმალ ტრანსფერზე დააყენონ, კანეირას შეძენა იმავე "სპორტინგს" სურს და თანახმაა, 4 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

დუდეკი: რეალი თუ ბოლტონი?

"ბოლტონს" **იერჟი დუდეკის** ხელში ჩაგდება სურს. პოლონელ მეკარეს ინგლისიდან აბარგება ჰქონდა გადაწყვეტილი. სპეკულაციების თანახმად, მას "რეალში" უნდა გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ ბოლტონელთა წინადადებამ დუდეკის გეგმები თავდაყირა დააყენა. დეტალები არ ხმაურდება. ერთი რამ დაზუსტებით შეიძლება ითქვას: მეკარე "ლივერპულში" აღარ ითამაშებს.

ვილტორი დაკითხვაზე

სილვენ ვილტორი დააკავეს და ერთსაათიანი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. "ლიონის" თავდამსხმელს სიჩქარის არაერთგზის გადაჭარბებაში ედება ბრალი. მის დანაშაულს ის ამძიმებს, რომ ფეხბურთელმა არცერთხელ არ ინება გამოწერილი ჯარიმის გადახდა და ქვითრებს ნაგავში გადაუძახა. 33 წლის ვეტერანს უდისციპლინობის გამო "ლიონთანაც" პრობლემები აქვს. საფრანგეთის ჩემპიონები არ გამორიცხავენ, მას კარისკენ მიუთითონ. ვილტორის საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

საფეხბურთო ძალადობა გერმანულად

გერმანიის პარლამენტმა საინტერესო მოხსენება გამოაქვეყნა. მის თანახმად, ბოლო 12 წელიწადში, პირველ და მეორე ბუნდესლიგაში, ფეხბურთთან დაკავშირებული ძალადობის შედეგად 660 პოლიციელი დაშავდა. სხვადასხვა სიმძიმის ტრავმა მიიღო 1 324 ფანმა და 1 616 სრულიად უდანაშაულო ადამიანმა, რომელიც შეტაკებებს შემთხვევით შეესწრო. გერმანულ ფეხბურთში კვლავ სერიოზულა პრობლემად რჩება რასიზმი. მარტო გასულ სეზონში რამდენიმე თამაში შეწყდა და რამდენიმე კლუბს სოლიდური ფინანსური ჯარიმა დაეკისრა იმიტომ, რომ ტრიბუნებიდან რასისტული შეძახილები ისმოდა. გერმანიის პოლიციის შავ სიაში 9 399 გულშემატკივარია შეყვანილი. ამ პირებს ქვეყნის გარშემო ნებისმიერ საფეხბურთო სტადიონზე შესვლა ეკრძალებათ. რა თქმა უნდა, აკრძალული აქვთ ნაკრების ან რომელიმე კლუბის გასვლით მატჩებზე სიარულიც. მათთა საზღვარგარეთული ვოიაჟის თავიდან ასაცილებლად, ყოველი ასეთი გასვლითი თამაშის წინ, ხულიგნებს რამდენიმე დღით პასპორტებს ართმევენ.

ნიუკასლი. ტრანსფერები

გუდიონსენი 4.5 მილიონად

მილანი ჯორდებს ედმილსონს ეცილება, ჯერემი 2 მილიონი ღირს

"ნიუკასლი" **ეიდურ გუდიონსენთან** კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს. მისი წარმომადგენელი ბარსელონაში იმყოფება. ის ბრაზილიელ ნახევარმცველ **ედმილსონს** ხვდება. ედმილსონით "მილანიც" დაინტერესდა. ასე რომ, ინგლისელებს ძის ხელში ჩასაგდებად დიდი ძალისხმევა მართებთ. ნიუკასლელთა ემისარი შემთხვევით ისარგებლებს და გუდიონსენისაც შეეხმიანება. ჯორდები კატალონიელებს 4.5 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. "ნიუკასლის" თავკაცი **სემ ელერდაისი** ისლანდიელ ფორვარდს შესანიშნავად იცნობს. ეიდური "ბოლტონში" მისი შეგირდი იყო. ჯორდები, შეიძლება, ორი წამყვანი თავდამსხმელის გარეშე დარჩნენ. **ობა მარტინსს** "არსენალი", ხოლო **მაიკლ ოუენს** "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. გუდიონსენის ტრანსფერი ამიტომაც გადაიქცა პრიორიტეტად. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"ნიუკასლი" ჩელსელი **ჯერემის** შეძენასაც ცდილობს. 28 წლის კამერუნელი "სენტ ჯეიმსზე" ამ დღეებში ჩავა. მისი ტრანსფერის დეტალები უცნობია. ჯერემი "რეალის" ყოფილი ფეხბურთელია. "ჩელსიში" ყოფნისას ის ერთი სეზონით "მიდლსბროში" მიავლინეს. გასულ ზაფხულს ლონდონში დაბრუნდა და ყველა ტურნირზე 28 მატჩი ჩაატარა. ჯერემიმ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ მოახერხა. "ნიუკასლს" მისი შეძენა სულ რაღაც 2 მილიონ გირვანქად შეუძლია. გარიგების შემთხვევაში, ის ჯორდების მეოთხე ახალწვეული გახდება. აქამდე **სემ ელერდაისმა მარკ ვიდუკა, ჯოი ბარტონი** და **დავიდ როზენალი** დაიბევა.

ეიდურ გუდიონსენი

თომას დოლი

კვირას მომავალი სეზონისთვის მზადებას დორტმუნდის „ბორუსიაც“ შეუდგა – გუნდი, რომლისგანაც მთელი გერმანია გამოღვიძებას ელის. ეს არის ახალგაზრდული, დინამიური კოლექტივი, ახალგაზრდა და ენერგიული მწვრთნელით - მონდომებული, უაღრესად მოტივირებული და საბრძოლოდ შემართული BVB. თომას დოლმა პირველივე დღეებში სამჯერადი ვარჯიშები დაგეგმა და თავის შეგირდებს თავიდანვე ბევრ ოფლს აღვრევინებს. მისი თქმით, მხოლოდ ასე შეხვდებიან ბიჭები სეზონს სრულ მზადყოფნაში. პირველ ვარჯიშს 10 000 გულშემატკივარი დაესწრო – „დორტმუნდისადმი“ ინტერესი, როგორც ყოველთვის, უდიდესია. ამას ისიც მოწმობს, რომ კვირას უკვე 44 000 აბონემენტი იყო გაყიდული!

როგორც იცით, BVB-მ საზაფხულო შოპინგი უკვე დაასრულა. ბევრი ფულის დახარჯვა, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ – „ბორუსიამ“ ჯამში 6 ფეხბურთელი გადაიბირა და ექვსივეში 7.6 მილიონი ევრო დახარჯა. ესენი არიან: თავდამსხმელები დიეგო კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) და მლადენ პეტრიჩი (ბაზელი), მეკარე მარკ ციგლერი (არმინია), ნახევარმცველები იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (ვისლა) და ჯოვანი ფედერიკო (კარლსრუე), მცველი რობერტ კოვაჩი (იუვენტუსი). როგორც იცით, გუნდი კრისტოფ მეტცელდერმა დატოვა, რომელმაც მადრიდის „რეალს“ მიაშურა.

...მაგრამ დორტმუნდელთა მთავარი იარაღი მაინც მწვრთნელია. წინა სეზონი დოლისთვის უმძიმესი გამოდგა. „ჰამბურგში“ ძალიან ცუდად ნაუვიდა საქმე და ბოლოს იმ დონემდე მივიდა, რომ მთელი გერმანია მისი ცოდვით იწვოდა. ახალ სეზონში კი თომასი ყველაფერს გააკეთებს იმის დასამტკიცებლად, რომ ჰამბურგში გადატანილი ამბები უიღბლობის ბრალი იყო. დორტმუნდელთა თავკაცს კვირას „კიკერი“ გაესაუბრა.

- ჰერ დოლ, გუნდის მენეჯერი ვატცკე ამბობს, თომასზე რომ იყოს დამოკიდებული, დღე-ღამეს 28 საათამდე გაზრდიდაო. როგორც ჩანს, „ბორუსიაში“ ძალიან ბევრი საქმეა...

- ვატცკე იმას გულისხმობს, რომ დილიდან გვიან ღამემდე სამსახურში ვარ და დრო აშკარად არ მყოფნის. საქმე ყოველთვის ბევრია. მთავარი ის გახლავთ, რომ ამ საქმეს უდიდესი ენთუზიაზმით ვაკეთებ.

- ჰამბურგში, შეკრების დროს, ფეხბურთელებს თავისუფალ დროს თითქმის არაფერს უკრძალავდით. დორტმუნდშიც ასე იქნება?

- ექვსკვირიანი შეკრება გველის. ეს საკმაოდ დიდი დროა. შესაბამისად, გაუმართლებელი და დაუშვებელია ის, რომ ფეხბურთელს გართობა ავუკრძალო. მთავარია, ვარჯიშზე თავი არავინ დაზოგოს, თორემ ვარჯიშის შემდეგ თითოეული მათგანი თავისუფალია.

- „ჰამბურგში“ რაფტინგისა და მთაზე ცოცვის ტრადიცია დაამკვიდრეთ და როგორც ვიცით, ამას „ბორუსიაშიც“ აპირებთ...

- რაკი შვეიცარიაში მივდივართ, იქ უკვე გავგზავნე კაცი, რომელიც კარგად შეისწავლის იმ ადგილს, სადაც გავჩერდებით. ცხადია, მაინტერესებს, რისი საშუალება გვექნება. ერთი რამ ამთავითვე ცხადია: ბიჭებისთვის დიდი სიურპრიზი მაქვს. მაგრამ ისიც ვიცი, რომ გუნდში კარგი ატმოსფეროს დამკვიდრებისთვის მხოლოდ მთაზე ცოცვა და რაფტინგი საკმარისი არ არის. გუნდში ერთსულოვნებას, პირველ რიგში, ურთიერთობა აყალიბებს.

- „ჰამბურგში“ პრობლემა ისიც იყო, რომ ფეხბურთელების დიდი ნაწილი, მაგალითად ლიუბოჟა, სორინი და მატიისენი, გუნდს გვიან შეუერთდნენ. „ბორუსიაში“ კი აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი უკვე თქვენს განკარგულებაშია.

- პირველივე ვარჯიშზე არცერთი ფეხბურთელი არ მაკლია და ეს მწვრთნელისთვის წარმოუდგენლად დიდი შვებაა. ერთი წლის წინათ „ჰამბურგში“ სერიოზული ქაოსი იყო - წარმატებული სეზონის შემდეგ, ბოსებმა წამყვანი ფეხბურთელები გაყიდეს და გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. „დორტმუნდში“ კი სიმშვიდეა – ყველა მწყობრშია, ყველა აქ არის. ხელმძღვანელებმა არაჩვეულებრივად იმუშავეს.

- ბაშთურქის ტრანსფერი არ შედგა და მის ნაცვლად პეტრიჩი იყიდეთ - როზენალის ნაცვლად კოვაჩი, ზიდანის ნაცვლად კი კლიმოვიჩი. თქვენთვის სასურველ ფეხბურთელებს ვერ შესწვდით...

- ფინანსურად ჯერ არც ისე მძლავრად ვართ, რომ თავისუფლად გვემოქმედა. ამ გუნდმა წარსულში დაშვებულ შეცდომებზე ისწავლა და ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებს - ხომ გახსოვთ, ფულის უაზროდ ხარჯვის გამო, „ბორუსია“ კინაღამ განადგურდა. ბაშთურქი კარგი ფეხბურთელია, გაცილებით გამოცდილი, ვიდრე პეტრიჩი, სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი ტალანტია. როზენალი ძალიან გვინდოდა, მაგრამ ის ძვირი იყო, შესაბამისად, დავჯერდით კოვაჩს, რომელიც ძალიან გამოცდილი და სტაბილურია. იგივე ეხება კლიმოვიჩის შემთხვევასაც.

- კოვაჩი 33 წლისაა, კრისტიან ვიორნსი კი 35-ის. წამყვანი ცენტრალური მცველების ასეთი ასაკი არ განერვიულებთ?

- ეს არ მაღელვებს, რადგან ვხედავ, თუ როგორ ვარჯიშობს და როგორ უვლის თავის სხეულს ვიორნსი. კოვაჩი კი საკმაოდ სწრაფია და აგრესიული. მას და ვიორნსს იოლად ვერავინ გაექცევა.

- აქტუალურ შემადგენლობაში 26 ფეხბურთელია. ხომ არავინ გაიყიდება?

- 26 ფეხბურთელი საჭირო არ არის. ცხადია, რომ ზოგიერთი მათგანი გუნდს დატოვებს.

- ლარს რიკენმა მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ გადასვლაზე უარი თქვა. ნუთუ მას საერთოდ არ აქვს იმის შანსი, რომ ძირითად გუნდს დაუბრუნდეს?

- მიხაელ ცორკი რიკენს ამ კვირაში კიდევ ერთხელ დაელაპარაკება. ლარსმა იცის, რომ ძირითად გუნდში თამაში არ მოუწევს. თუ არსად წავა, მაშინ „ბორუსიის“ მოყვარულთა გუნდში უნდა ითამაშოს. თუ თანახმაა, ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, პირიქით, მოყვარულებს ასეთი გამოცდილი მოთამაშე ძალიან სჭირდებათ.

- და რაც შეეხება სტივენ პიენაარს?

- პიენაარზე უდიდეს იმედებს ვამყარებ. ამ ფეხბურთელის შესაძლებლობებს ძალიან ვაფასებ.

- ჯერ კიდევ არის იმის შანსი, რომ „ჰამბურგიდან“ პიოტრ ტროხოვსკი ინათხოვროთ...

- ტროხოვსკი ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. ის მაშინ გახდა გერმანიის ნაკრების მოთამაშე, როცა „ჰამბურგს“ მე ვწვრთნიდი. ძალიან მინდა, რომ მისი არენდა შედგეს.

- პეტრიჩმა გვითხრა, რომ თქვენ მის ადგილს თავდამსხმელების უკან, ფლეიმეიქერის პოზიციაზე ხედავთ...

- დიახ, ეს მართალია. მლადენი ძალიან სწრაფი და ტექნიკურია, ამავდროულად, ხისტი და მებრძოლიც გახლავთ. ის ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის უნდა მოქმედებდეს და ეს ორი რგოლი ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს.

- ბევრი ფიქრობს, რომ „ბორუსიას“ სამეულში მოხვედრისთვის ბძოლაც ხელენიფება. შესაბამისად, თქვენც წნეხის ქვეშ მოექცევით.

- ვიცი, რომ „ჰამბურგში“ გადატანილი ამბების გამო, ზეწოლის ქვეშ ვარ. ისიც ვიცი, რომ ჩემი ფეხბურთელები გულანთებულები და ძალიან მოტივირებულები იქნებიან. დორტმუნდის „ბორუსია“ მომდევნო სეზონში ნებისმიერი გუნდისთვის ძალიან საშიში მეტოქე უნდა იყოს. ჩვენ არ გვყავს უმაღლესი კლასის ვარსკვლავები, სამაგიეროდ, გვყავს შემართული, ბრძოლისთვის გამზადებული გუნდი, რომელსაც სამეულში მოხვედრა ნამდვილად ხელეწიფება. ოღონდ, პროგრამა მინიმუმი მაინც ხუთეულია. მოკლედ, ომისთვის მზად ვართ.

- ოქტომბრის ბოლოს, მე-11 ტურში „ბორუსია“ „ბაიერნს“ შეხვდება...

- ძალიან მიხარია, რომ რეკორდმაისტერი გაძლიერდა. ეს არა მხოლოდ მიუნხენური კლუბისთვის, არამედ მთლიანად ბუნდესლიგისთვის პოზიტიური ნიშანია.

- ტონის, რიბერის, ზე რობერტოს და კლოზეს გადაბირების შემდეგ, ყველა ფიქრობს, რომ „ბაიერნის“ ჩემპიონობა გარდაუვალია...

- მე ასე არ ვიტყოდი. რა თქმა უნდა, „ბაიერნი“ ახლა ყველაზე უკეთაა დაკომპლექტებული, მაგრამ ამდენ ახალწვეულს ჯერ შეთამაშება სჭირდება. მართალია, ტოპ-ფეხბურთელებს ადაპტაციის პერიოდი დიდხანს არ უგრძელდებათ ხოლმე და ცხადია, რომ „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ნომერ პირველი ფავორიტია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათ „ვერცხლის სინის“ დაბრუნების გარანტია აქვთ.

- რას ელით „შტუტგარტისგან“?

- მჯერა, რომ ეს გუნდი ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

- მეორე ტურში გელზენკირხენში ჩადიხართ. „შალკე“ შურისძიებისთვის ემზადება...

- ის, რომ „შალკე“ ჩემპიონი ვერ გახდა, ჩვენი ბრალი სულაც არ არის. მართალია, ბოლოსწინა ტურში სწორედ ჩვენ მოვუგეთ და პირველი ადგილი დავაკარგვინეთ, მაგრამ გელზენკირხენელებმა მანამდე ქულები უაზროდ დაკარგეს. ის კი უნდა სცოდნოდათ, რომ „დორტმუნდი“ თავს მოიკლავდა, „ვესტფალენშტადიონიდან“ „შალკეს“ 3 ქულას კი, არაფრისდიდებით არ გაატანდა.

გოტფრიდ ლენცი

ბორუსიის ახალწვეულები

მოჰამედ ზიდანი

ჰამბურგი. მზადება დაიწყო

მხოლოდ ზიდანი...

HSV-ს მიზნები: მინიმუმ ხუთეული და უეფას თასი

გუშინ მომავალი სეზონისთვის მზადებას კიდევ ერთი ამბიციური გერმანული კლუბი, „ჰამბურგიც“ შეუდგა. ჩრდილოგერმანული გუნდი სატრანსფერო ბაზარზე დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა – HSV-მ მომავალი სეზონისთვის ჯერ მხოლოდ **მოჰამედ ზიდანი** გადაიბირა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეგვიპტელი თავდამსხმელი, რომელმაც „ჰამბურგს“ „მაინციდან“ მიაშურა, ერთადერთ ახალწვეულად დარჩება. მიუხედავად ამისა, მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** არ ნერვიულობს, რადგან გუნდი არავის დაუტოვებია. „ჰამბურგს“ **კოსი საკამ** (21 წლის, დორტმუნდიდან) და **სებასტიან ლანგკამპმაც** (19) მიაშურეს, მაგრამ მათ სათვალავში ვერ ჩავაგდებთ, რადგან სტევენსმა ამ ფეხბურთელებს მაშინვე მოყვარულთა გუნდში უკრა თავი.

რა იქნება „ჰამბურგის“ მიზანი? ერთი რამ ცხადია: გუნდმა ისე უნდა ითამაშოს, როგორც გასული სეზონის მეორე წრეში. გაიხსენეთ, პირველი წრის შემდეგ, ჩრდილოელები მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ნომერ პირველი კანდიდატები იყვნენ, მეორე წრის ცხრილში კი, მეორე ადგილი დაიკავეს. ანუ, სეზონის პირველ ნახევარში გაწამებულმა „ჰამბურგმა“, მეორე ნახევარში უდიდესი პროგრესი განიცადა, რაც პირველ რიგში სტევენსის დამსახურებაა.

HSV-ს ძალიან უნდოდა ბრაზილიელი **კარლოს ალბერტოს** არენდით აყვანა (ამ ფეხბურთელზე პრეტენზიას „ვერდერიც“ აცხადებს), მაგრამ როგორც ირკვევა, ტრანსფერი არ შედგება. თუმცა სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი** არც ამის გამო ნერვიულობს: *„საკმაოდ კარგად დაკომპლექტებული გუნდი გვყავს. ჩვენ ვიყიდეთ გასული სეზონის მეორე წრის საუკეთესო ბომბარდირი ზიდანი და არავინ გაგვიშვია. ეს საკმარისია იმისთვის, რომ ახალ სეზონს თავაწეულები შევხვდეთ.“*

რაფაელ ვიკი და „შტუტგარტიდან“ დაბრუნდებული **ბენიამინ ლაუთი** ტრანსფერზე არიან დაყენებულები, მაგრამ მათი გადაბირება ჯერჯერობით არავის სურს. ბაიერსდორფერი არ მალავს, რომ ფრაიბურგელი **ჯონათან პიტროიპათი** დაინტერესდა, მაგრამ ბრაისგაუელებმა ამ ნახევარმცველის სანაცვლოდ 3 მილიონი მოითხოვეს. ბაიერსდორფერის თქმით კი, ეს ფეხბურთელი ამდენად არ ფასობს.

ამრიგად, სტევენსმა, ფაქტობრივად, იგივე გუნდის მომზადება დაიწყო. ახალწვეული მხოლოდ ზიდანია, რომელიც ტრავმის მოშუშების ბოლო სტადიაშია და ჯერ მხოლოდ მსუბუქად ვარჯიში შეუძლია. *„პროგრამა მინიმუმი საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაა. ამასთან, ინტერტოტოს თასიდან უეფას თასზე გადასვლა გვინდა,“* - აცხადებს ჰოლანდიელი მწვრთნელი.

გოტფრიდ ლენცი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ვარჯიშის შემდეგ, ნაკრების მთავარი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი მოედნის ცენტრალურ რგოლში იდგა და საკუთარ ჩანაწერებს ათვალიერებდა. სწორედ ეს იყო ინტერვიუსთვის შესაფერისი დრო და ადგილი. კანადელმა სპეციალისტმა ფურცლები გადაშალა და დაიწყო...

გორდონ ჰერბერტი და დავით უსტიაშვილი

გორდონ ჰერბერტი:

შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება

რას უნდა ველოდოთ? A დივიზიონში მოხვედრას!

პირველი ვარჯიში ამ დილას ჩავატარეთ. ის უფრო შესამოწმებელი წვრთნა იყო. მოთამაშეებმა ინდივიდუალური ტესტები ჩააბარეს ფიზმომზადებაში, სროლაში და სხვა...

- ტესტებმა როგორი პასუხები უჩვენა?

- უკმაყოფილო არ ვარ. დასაწყისისთვის კარგი იყო. მესმის, რომ ამ დროისთვის ოპტიმალურ ფორმაში ყოფნა ძნელია. ახლა, საღამოს ვარჯიშზე, ყურადღება ბურთით მუშაობას დავუთმე. ხვალ 5-5-ზე ვითამაშებთ და ტაქტიკურ სქემებზე დავამუშავებთ.

- წინასწარი შეკრების მთავარი მიზანი რა არის?

- სამი დღის განმავლობაში კანდიდატებს დავაკვირდებით და მათგან რამდენიმეს მთავარ შეკრებაზე დავიმატებთ. აქვე, მინდა დავძინო, რომ ეროვნულის კარი ყველასთვის ღიაა და მონდომების შემთხვევაში, ნაკრებში მოხვედრა ილუზია სულაც არაა. ამ შეკრების მეორე მიზანი მოთამაშეთათვის მიმართულების მიცემაა. ისინი, რომლებიც 18 ივლისს მთავარ ნაკრებს დაემატებიან, სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებულნი, ისევე როგორც ლეგიონერები.

- დღევანდელი გუნდიდან თვრამეტისთვის რამდენს დაიმატებთ?

- წინასწარ, ზუსტი რიცხვის დასახელება გამიჭირდება... 3, 4, 5 და ასე შემდეგ... ზოგადად ცნობილია, რომ ბულგარეთის ტურნირზე (23 ივლისს იწყება - რედ) 12-13 კაცი წავა. მათ ვინაობას ან წინა დღეს, ან ერთი-ორი დღით ადრე დავასახელებთ.

- დღეს აზოტელი ანატოლი ბოისა გაკლიათ...

- ის ამჟამად სლოვენიაშია და ოთხშაბათს ჩამოვა. ასე რომ, საქართველოდან წასვლამდე უმცროს ბოისას აუცილებლად ვნახავ.

- ამჟამინდელი გუნდიდან ვის გამოარჩევდით?

- პირველი დღეა, რაც ამ შემადგენლობასთან ვარ და დაკონკრეტება ჯერ ნაადრევია. თუმცა ორი ახალგაზრდა პირველად ვნახე და ორივე ძალიან მომეწონა. პერსპექტიული ბიჭები არიან... ალბათ, ხვდებით ვის ვგულისხმობ: მეფარე მეტრეველსა და ფორვარდ ბარბაქაძეს.

- საქართველოში რამდენ დღეს დაყოფთ?

- ვარჯიშების დასრულების შემდეგ ფინეთში გავემგზავრები, სადაც 18 ივლისამდე დავრჩები.

- ფინელებზე ინფორმაციების მოსაძიებლად მიემგზავრებით?

- მარტო ამიტომ არა, ცოტა დასვენებაც მინდა. იქ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ...

- შეკრებაზე მწვრთნელთა შტაბი სრული შემადგენლობით იქნება?

- მე და კენი ატკინსონი ჩამოვალთ. აქ დავით უსტიაშვილი შემოგვიერთდება და ერთად შევუდგებით მუშაობას.

- ...და კენ შილდსი?

- მის გარეშე მოგვიწევს ვარჯიშის დაწყება.

- უცხოელთაგან ვის ელით? ელისს თუ სენდერსს?

- საქართველოს ნაკრებში წელს კვლავ ტაირონ ელისი ითამაშებს, მაგრამ ის 18 ივლისისთვის ჩამოსვლას ვერ ახერხებს, დაოჯახდა და 22 ივლისს ქორწილი აქვს...

- როდის შემოგიერთდებათ ელისი?

- ბულგარეთის ტურნირის შემდეგ.

- კიდევ ვინმე ხომ არ დაიგვიანებს?

- შეიძლება, ვლადიმერ ბოისასაც შეაგვიანდეს, მასაც ოჯახური გარემოებების გამო. ცქიტიშვილს, ფაჩულიას, სანიკიძეს, მარკოიშვილს, ცინცაძესა და ნაცვლიშვილს შეკრების პირველივე დღეს ველოდებით. როგორც გავიგე, ცქიტიშვილი და სანიკიძე "სან ანტონიოს" მაისურით საზაფხულო კემპებზე აპირებენ თამაშს. ეს მისასალმებელია, ორივე კარგად მომზადებული შემოგვიერთდება.

- ოფიციალური მატჩები 21 აგვისტოდან იწყება. როგორ ფიქრობთ, სათანადოდ მოსამზადებლად ერთი თვით ადრე შეკრება საკმარისი იქნება?

- რაც მეტს ვიმუშავებთ, მით უკეთესი. ვფიქრობ, ერთი თვეც საკმარისი უნდა იყოს. ოღონდ ერთი პირობით: მოთამაშეები შეკრებაზე კარგად მომზადებულები უნდა ჩამოვიდნენ, რადგან ფიზიკურად მოღონიერებაზე ზედმეტი დრო არ უნდა დავკარგოთ.

- დიდი ბრიტანეთის ნაკრების მწვრთნელთან საკონტროლო მატჩების თარიღები თუ შეათანხმეთ?

- პორტუგალიის ტურნირის დასრულების შემდეგ, "პო ორტეზის" ბაზაზე დავბინავდებით. ბრიტანეთის წინააღმდეგ სწორედ საფრანგეთში, 9 და 10 აგვისტოს ვითამაშებთ. მათ ძლიერი ნაკრები ჰყავთ და ეს მატჩები ჩვენთვის კარგი გენერალური რეპეტიცია იქნება.

- რას უნდა ველოდოთ გუნდისგან?

- A დივიზიონში მოხვედრას. ამის შანსი გვაქვს და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

- "პო ორტეზიდან" წამოსვლაზეც გკითხავთ...

- სეზონის წინ სამი მიზანი დავისახეთ: ევროლიგის თექვსმეტეულში მოხვედრა, საფრანგეთის თასის მოგება, საფრანგეთის ჩემპიონატის ფლეი ოფში გასვლა. სამიდან ერთი რამ ვერ შევასრულეთ: ვერ მოვხვდით ფლეი ოფში, რადგან ლეგიონერებს დიდი ხნის განმავლობაში ველოდით და მხოლოდ შუა სეზონში მოვახერხეთ მათი დამატება. მანამდე, ფაქტობრივად, ახალგაზრდული გუნდით გვიწევდა თამაში... კლუბის ხელმძღვანელობა მარტო ორი მიზნის მიღწევამ არ დააკმაყოფილა და კონტრაქტის დროზე ადრე გაუქმება გადაწყვიტა. თუმცა არც მე მსურდა ხელშეკრულების ბოლომდე იქ დარჩენა, რადგან კლუბის პრეზიდენტი ჩემს საქმეებში უხეშად ერეოდა. მას სურდა, რომ სათამაშო ნიუანსებიდან დაწყებული, ტრანსფერებით დამთავრებული, მისი მითითებით მემოქმედა. შეიძლება, პრეზიდენტს მწვრთნელთან თანამშრომლობის სურვილი ჰქონდეს, მაგრამ მუშაობაში არ უნდა ჩაერიოს. საქართველოში მუშაობა იმიტომაც მსიამოვნებს, რომ ფედერაციამ იცის, მწვრთნელს როგორ მიუდგეს, იცის, ვინ რა უნდა აკეთოს...

- "პო ორტეზიდან" წასვლის შემდეგ შეთავაზებები ხომ არ მიგიღიათ?

- დასამალი არ არის, გერმანიიდან რამდენიმე კლუბი დამიკავშირდა, მაგრამ უარი ვუთხარი. არის იტალიური "ბენეტონისა" და ერთ-ერთი ბერძნული კლუბის ვარიანტი. მაგრამ მინდა, ამ ზაფხულს მთლიანად საქართველოს ნაკრებში ჩავეფლო, რადგან გეხსომებათ, შარშან ეროვნულის შეკრებიდან "პო ორტეზში" გაქცევა რამდენჯერმე მომიხდა. აქეთ-იქით სიარული კი სასარგებლო არც ნაკრებისთვისაა და არც კლუბისთვის.

ვაჟა სიმონიშვილი

დავით თორთლაძე და მანუჩარ მარკოიშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

საინტერესო გამოკითხვა

ფაჩულია მეოთხეა

სადრაფტო სელექციისას "ატლანტა ჰოქსმა" საკმაოდ სოლიდური შევსება მიიღო. გუნდმა ძალზე ძლიერი ფორვარდი **ელ ჰორფორდი** და კარგი გამთამაშებელი, **ეისი ლო IV** აიყვანა. შეიცვლება თუ არა "ჰოქსი"? ცვლილება პროგრესირებადი იქნება, თუ წამსვლელ-წამომსვლელთა მიუხედავად, **მაიკ ვუდსონის** ბიჭები მაინც არასტაბილურ პრეტენდენტთა რიცხვში დარჩებიან? ამ თემასთან დაკავშირებით, ჩატარდა საინტერესო გამოკითხვა, რომლის შედეგები ასეთია:

1. უმრავლესობა (63%) მიიჩნევს, რომ ლო IV პირველივე რეგულარულში თავისი გუნდის სასტარტო ხუთეულში უნდა იყოს, მისი შემცვლელი კი **ტაირონ ლიუა**.

2. 45%-ის აზრით, ელ ჰორფორდი არ არის არც **კევინ გარნეტის** და არც **ტიმ დანკანის** კალიბრისა და მასშტაბის მოთამაშე. "მინესოტის" ლიდერამდე მას ათლეტურობა, ხოლო "სპურსის" კაპიტნამდე სამწამიანში დომინაციის პერსპექტივა აკლია.

3. გამოკითხულთა 34% ჰორფორდს **ელტონ ბრენდს** ადარებს. მერე მოდიან **კრის ბოში** (21), **ჯერმეინ ონილი** (11) და **რაშიდ უოლასი** (5). სამწამიანში მოძრაობით ჰორფორდი ყველაზე მეტად **უაიტ ჰოვარდს** ნაგავს, თუმცა მასსავით კუნთასხმული არ არის.

4. ვინ იქნება გუნდის საუკეთესო მექუღე? უმრავლესობამ ასეთად **ჯო ჯონსონი** მიიჩნია, ხოლო **ზაზა ფაჩულიას** მეოთხე ადგილამდე **ჯოშ სმიტი** და **ჯოშ ჩილდრესი** განლაგდნენ.

5. გამოკითხულთა 34%-მა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში დაბრუნების ღირსეულ კანდიდატად დაასახელა, ხოლო საქართველოს ნაკრების ულაპარაკო ლიდერისა და **ლორენცენ რაიტის** როქს სკეპტიკურად მხოლოდ 21% უყურებს.

6. როგორი იქნება ჰორფორდის საშუალო სტატისტიკური მონაგარი? 62% თვლის, რომ ახალბედა 13-14 ქულასა და დაახლოებით 7 მოხსნას დააგროვებს. გახდება თუ არა ეს საკმარისი სეზონის უძლიერესი ახალბედის ტიტულისთვის? ამას მხოლოდ 7% ეთანხმება, რადგან ზელიგაში **გრეგ ოდენმა** და **კევინ დიურანმა** შემოაბიჯეს.

7. ვისთან უნდა გაფორმდეს ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტი? ფაჩულია ამ სიაშიც მეოთხეა. მას კი **ჯო ჯონსონი** (27%), **ჰორფორდი** (25,3) და **ჯოშ სმიტი** (9) უსწრებენ.

8. გავა თუ არა "ჰოქსი" ფლეი ოფში? 46% ვარაუდობს, რომ გავა, 54%-ს მიაჩნია, რომ ვერა.

9. დაბოლოს, უნდა აიყვანოს თუ არა "ჰოქსმა" გაცვლით **კევინ გარნეტი**? 76% **ქეი ჯის** ჯორჯიულ გუნდში გადასვლას ეთანხმება.

ანლანტა ჰოქსი 2007/08

სავარაუდო სასტარტო

გამთამაშებელი: ეისი ლო IV
მსროლელი: ჯო ჯონსონი
მსუბუქი ფორვარდი: ჯოშ სმიტი
მძიმე ფორვარდი: ელ ჰორფორდი
ცენტრი: ზაზა ფაჩულია

სათადარიგოები: ჯოშ ჩილდრესი (ფ), შელდენ უილიამსი (ფ), მერვინ უილიამსი, სოლომონ ჯოუნსი (ც), ტაირონ ლიუ (მს), სალიმ სტაუდმაიერი (ფ), ლორენცენ რაიტი (ც).

გუნდიდან წასვლენ: სპიდი კლექსონი (მს), ენტონი ჯონსონი (მს), ესტებან ბატისტა (ფ-ც), სლავა მედვედენკო (ფ), როიალ აივი (მს).

ზურაბ თალაკვაძე



ტანვერჯიში ევროპის ჩემპიონატი

ბაქო უსახელოდ მოილიეს

აზერბაიჯანის დედაქალაქმა ტანვარჯიშში ევროპის 23-ე ჩემპიონატს უმასპინძლა. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი, ქვეყნის პირველი ლედი **მეჰრიბან ალიევა**. ქართველები ბაქოში ვერაფერს გახდნენ. ჩვენებმა მონაწილეობა მიიღეს, როგორც დიდების ტურნირში, ასევე იუნიორებში. დიდებში **მზევინარ სამუკაშვილი, თათია დონაძე** და **ქეთევან ხატიაშვილი** გამოდიოდნენ. ქართველი სპორტსმენები ფინალურ რაუნდში ოთხიდან ვერცერთ დისციპლინაში ვერ გავიდნენ. ევროპის ჩემპიონობა ოთხიდან სამ შემთხვევაში რუსებს დარჩათ: გურზებით ვარჯიშში **ვერა სესინამ** იმარჯვა, ლენტით ევროპის ჩემპიონატი **ევგენია კანაევამ** მოიგო, ხოლო "თავისუფალში" **ოლგა კაპრანოვამ** იმარჯვა. მხოლოდ სახტუნაოთი ვარჯიშში შეძლო აზერბაიჯანელმა **ალია გარაევამ** რუსთა დომინაციის დარღვევა. გუნდურშიც, რა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრები გახდა ევროპის ჩემპიონი.

ლენტით ვარჯიშში სამუკაშვილი მე-18 ადგილზე გავიდა 14.9 ქულით, ხოლო ხატიაშვილი 12.6 ქულით მხოლოდ 41-ე იყო. სახტუნაოთი დონაძე მე-20 ადგილზე გავიდა 14.8 ქულით, ხატიაშვილი 14.4 ქულით 23-ე გახლდათ. ფინალურ საგზურთან ყველაზე ახლოს სამუკაშვილი იყო (თავისუფალ ვარჯიშში). მან 15.8 ქულა დააგროვა და მე-13 ადგილი დაიკავა. ხატიაშვილი 11.5 ქულით 57-ე ადგილზე გავიდა. გურზებით ვარჯიშში დონაძე 15.4 ქულით მე-14 პოზიცია დაიკავა, სამუკაშვილი კი 13.7 ქულით 33-ე ადგილს დასჯერდა. გუნდურში საქართველოს ნაკრებმა მე-13 ადგილი დაიკავა.

ფინალში ვერც იუნიორები გავიდნენ. ჩვენმა ნაკრებმა 21.6 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა. იუნიორებში ჩვენი ქვეყნის ღირსებას **ნინო ქურდაძე, ნათია ნავაიძე, მეგი ბალახაშვილი** და **თამარ ტვილდიანი** იცავდნენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოჯი

საქართველოს ჩემპიონატი

რაინდებმა მგლებს ჭყავი გააძვრეს

ამ საკმაოდ აზარტულ და ხმაურიან სპორტში მაყურებელი თანდათან ჩაება. თუმცა საციგურაო მოედნიდან გამოსული ეს ხმაური და ემოცია დროებით შეწყდა. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები საზაფხულო შეკრებებზე გაემგზავრნენ.

შაბათს, ბოლო შეხვედრაში, ერთმანეთს თბილისური გუნდები, "ყინულის რაინდები" და "რუხი მგლები" დაუპირისპირდნენ. პირველი ადგილის დასაკავებლად ორივეს მოგება სჭირდებოდა. მატჩი უხვგოლიანი გამოდგა. უშეღავათო ბრძოლაში თამაშის ბედი ოვერტაიმში გატანილმა "ოქროს" გოლმა გადაწყვიტა. "რაინდებმა" მგლები 7:6 დაამარცხეს (4:3, 1:3, 1:0). გოლები: **1:0 დავიდოვი, 2:0 დავიდოვი, 3:0 დავიდოვი, 3:1 შერგილაშვილი, 3:2 დავითაშვილი, 4:2 დავიდოვი, 4:3 ლუთიძე, 4:4 აბაშიძე, 5:4 დავიდოვი, 5:5 დავითაშვილი, 5:6 აბაშიძე, 6:6 დავიდოვი, 7:6 კავკასიძე** (ოვერტაიმში). როგორც ხედავთ, ექვსი გოლი საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა, "რაინდმა" **დენის დავიდოვმა** შეაგდო.

"ძალიან კარგი და საინტერესო თამაში იყო. მეტოქე უდაოდ ძლიერი გვყავდა. ჩვენ მოგების მხოლოდ ერთი შანსი გვქონდა, ანუ პირველივე წუთებში რაც შეიძლება მეტი შაიბა უნდა გაგვეტანა. ჩვენი მთავარი ამოცანა წარმატებით შევასრულეთ: დასაწყისშივე 3:0-ს ვიგებდით. შემდეგ თამაში გათანაბრდა და მატჩის ბედი მხოლოდ ოვერტაიმში გადაწყდა. სასიხარულოა, რომ გამარჯვების გოლი საკმაოდ პერსპექტიულმა მოთამაშემ, 14 წლის პაატა კავკასიძემ გაიტანა. რაც შეეხება შეკრებებს, თავდაპირველად ბათუმში ამხანაგურ შეხვედრებს გავმართავთ. ეს უდავოდ შეუწყობს ხელს ზღვისპირა ქალაქში ჰოკეის განვითარებას. შემდეგ ჩვენი ნაკრები აშშ-ში, საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ბესო ცინცაძის სკოლაში გავემგზავრებით, სადაც კვალიფიკაციას არა მარტო ბავშვები აიმაღლებენ, არამედ მწვრთნელებსაც მიეცემაც საშუალება, გაიარონ სერთიფიცირება. ეროვნული ჩემპიონატი კი სექტემბრიდან განახლდება... იმედი გვაქვს, რომ დონე გაიზდება, რადგან ბავშვები ამერიკიდან ნასწავლები და გაზრდილები დაბრუნდებიან" - გვითხრა დენის დავიდოვმა.

თიკა ასლანიშვილი

თაჩილი

აბაშიძე გურამ. დაიბადა 03.07.1933, თბილისი. კალათბურთი (190 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოსა" (1952-62) და სსრკ ნაკრებში (1955-59). მსოფლიოს ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული თამაშების ჩემპიონი (1955), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1953, 54), ორგზის მეორე (1960, 61) და მესამე (1952) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1951) და ფინალისტი (1953). სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი (1959). მონაწილეობდა 1959 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში (VII ადგილი).

გოდაველი დავით. დაიბადა 03.07.1956, დუშეთი. ძიუდო (86 კგ). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981), ევროპის ჩემპიონი (1981), სსრკ ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი (1981, 82, 83), სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1983). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ჭიდაობა

გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის ტურნირები

აზიელები უკვე ჩამოვიდნენ, ფრანგებს ვაწყენინეთ?

როგორც იცით, 14-15 ივლისს, თბილისში, **გივი კარტოზიასა** და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირები რომ ჩატარდება. არადა, სეზონის დასაწყისში, ფინანსური პრობლემების გამო, მათი გამართვა საეჭვო გახდა და საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია, ერთხანს, საერთოდ უარის თქმასაც აპირებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჯარიმა (ღონისძიება საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი) იმაზე არანაკლები იქნებოდა, ვიდრე თანხა, რომელსაც ტურნირების ორგანიზება ითხოვს.

პრობლემებს სპორტის სასახლის რემონტიც დაემატა. არადა, საქართველოში ამ დონის ტურნირის სამასპინძლოდ სხვა დარბაზი არ მოგვეპოვება. ერთი პერიოდი, ფედერაციამ შეჯიბრების ბათუმში ჩატარებაც მოიწადინა, მაგრამ იქ, გაგანია ტურისტულ სეზონში, სასტუმროების პრობლემა წამოიჭრა და ისევ თბილისით მოუწიათ დაკმაყოფილება. საბოლოოდ, არჩევანი "ქარიშხალაზე" შეჩერდა. მართალია, საერთაშორისო ტურნირისთვის იქაურობა მთლად შესაფერისი არ არის, მაგრამ სხვას კიდევ ეს სჯობდა...

ადრინდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, მონაწილეებზე ლაპარაკი ჯერ ცოტა ნაადრევად მიგვაჩნია. თუმცა ის უკვე ნაღდია, რომ ამ დილით თბილისში იაპონიისა და ჩინეთის გუნდები ჩამოვიდნენ. ისინი შეკრებას აქ გაივლიან. შემადგენლობებზე, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. ამდენად, არ ვიცით, ჩამოიყვანეს თუ არა იაპონელებმა გუნდის ლიდერი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ნორიუკი ტაკაცუკა** (60). აზიელები შეკრებას გლდანში, ოლიმპიური მზადების ცენტრში (ყოფილი ოლიმპიური რეზერვების სკოლა) ჰქვია. აღსანიშნავია, რომ ჩვენებიც იქვე გადიან შეკრებას. თურმე, ერთობლივ ვარჯიშებზე ჩამოსვლას ფრანგები და ესტონელებიც აპირებდნენ, მაგრამ პირობების არქონის გამო, ამდენი სტუმრის მიღებაზე ფედერაციამ უარი თქვა. შედეგად, ფრანგებმა საერთოდ ტურნირში მონაწილეობა იუარეს, ესტონელები კი მაინც ჩამოვლენ.

იაპონიის, ჩინეთისა და ესტონეთის გარდა, ტურნირში მონაწილეობაზე თანხმობა აშშ-ს, ისრაელის, უკრაინის, რუსეთის, ინდოეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, საბერძნეთისა და თურქეთის გუნდებმა განაცხადეს. თუმცა, ამათგან, ორივე სტილით მოჭიდავეთა ნაკრებით მხოლოდ აზერბაიჯანელები და სომხები ჩამოდიან. თანაც, აზერბაიჯანელებს მეტად სოლიდური (18-18 კაცი) გუნდები მოჰყავთ. უზბეკეთიდან, ძირითადად, "ანტიკოსი" ქართველები გვეწვევიან, თუმცა ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსანდრე დოხტურიშვილი** (84) არ იჭიდავებს. სამაგიეროდ, ჩამოვა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **დავით სალდაძე** (96), რომელიც უკრაინიდან უზბეკეთში გადაბარგებულა. წინასწარი ინფორმაციით, ინდოეთიდან მხოლოდ ერთი სპორტსმენი ჩამოვა. თურქები "თავისუფალთა" გუნდით გვეწვევიან და როგორც აქაურ მწვრთნელებთან კერძო საუბარში განუცხადებიათ, უძლიერესი გუნდი მოჰყავთ.

ჩვენი ნაკრების თავკაცები ამ ტურნირს მსოფლიოსთვის შესარჩევად განიხილავენ. მართალია, აქ გამარჯვებულები სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატზე (ბაქო) წასვლას ვერ გაინაღდებენ, მაგრამ უპირველესი კანდიდატები კი გახდებიან. ამიტომ, ტურნირში ყველა ლიდერი იჭიდავებს. "თავისუფლებში" იჭიდავებენ მსოფლიოს ბოლო პირველობის ვიცე-ჩემპიონები - **ოთარ თუშიშვილი** (66) და **რევაზ მინდორაშვილი** (84), რომლებმაც ევროპის პირველობა სწორედ მსოფლიოსთვის უკეთ მომზადების მიზნით გამოტოვეს. შეპირებისამებრ, იჭიდავებს ლეგენდარული **ლუკა კურტანიძეც** (96), რომელიც ამის შემდეგ საბოლოოდ გამოეთხოვება ხალიჩას. ამავე წონაში გამოვა მსოფლიო ჩემპიონი **გიორგი გოგშელიძეც**.

"ანტიკოსებს", სავარაუდოდ, ორი ლიდერი დააკლდებათ - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე** (96). კვირკველიას ხელის მტევანი სტკივა, ნოზაძემ კი ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში, შვედ **ჯიმი ლინდბერგთან** ბრძოლისას მიღებული მხარის ტრავმა ვერ მოიშუშა.

ირაკლი თავაძე

ფრენბურთი

მსოფლიო ტური

გეორ-გია თამაშობს, საქა-რთველო ეჩვევა

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში დასრულდა პლაჟბურთელთა მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი, რომელიც "დიდი მუზარადის" რანგისა გახლდათ. ჩვეულებრივი ღია ტურებისგან განსხვავებით, "დიდი მუზარადის" ტურნირებს 100 000 დოლარით მეტი, ანუ 300 000-დოლარიანი საპრიზო ფონდი აქვს და უფრო მაღალ სარეიტინგო ქულებსაც იძლევა.

გეორ-გია

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ვაჟთა წყვილი **გეორ-გია** წლეულს არცთუ ურიგოდ თამაშობს, სტავანგერში მაინც საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოუწია დაწყება, სადაც მეორე ნომრად განითესა. პირველ წრეში, გაქართველებულმა ბრაზილიელებმა მასპინძლებს, **ჰოლტანსა** და **ვერგელანდს** ადვილად მოუგეს – 21:12, 21:17. ჩვენებურებმა წარმატებით გადალახეს ძირითად ბადეში გადასასვლელი ბარიერიც, ოღონდ ამჯერად, ჰოლანდიელებთან (**ბურსმა** და **რონესი**) პაექრობაში ბენვის ხიდზე გაიარეს. სამსეტიანი ორთაბრძოლა ერთ საათსა და ათ წუთს გაგრძელდა და გეორ-გიას გამარჯვებით დასრულდა - 21:18, 20:22, 23:21.

როგორც იცით, "დიდი მუზარადის" ძირითად ბადეში ფრენბურთელები ქვეჯგუფებიდან იწყებენ მედლებისთვის ბრძოლას. მე-15 ნომრად განთესილმა ქართულმა წყვილმა ჯგუფში სამიდან ორი შეხვედრა მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა. პირველ მატჩში, ჩვენებმა ავსტრიელები (**შახტი** და **შლაკი**) დაამარცხეს - 21:16, 21:16. მერე იყო მოულოდნელი წაგება 31-ე ნომერ გერმანელებთან, **მატისიკთან** და **უმანთან** (19:21, 14:21). ამრიგად, ჯგუფიდან გასასვლელად, მეორე ნომრად განთესილი ამერიკელების, **გიბისა** და **როზენტალის** დამარცხება იყო საჭირო. გეორ-გიამ ამოცანა წარმატებით გადაჭრა და მეტოქე ორ სეტში დაიჩოქა - 22:20, 21:18.

სამწუხაროდ, ჩვენი პლაჟბურთელებისთვის შემდეგი ეტაპი (არგენტინული წყვილი) გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. **კონდემ** და **ბარაკეტმა** გეორ-გია სამ სეტში გამოთიშეს ტურნირს - 17:21, 23:21, 15:10.

საბოლოოდ, ჩვენმა დუეტმა 9-16 ადგილები გაიყო, 320 სარეიტინგო ქულა ჩაინერა და საპრიზო ფონდიდან 8 000 დოლარიც მიითვალა. ტურნირი კი მათმა "ყოფილმა" თანამემამულეებმა, **ფაბიო ლუზომ** და **მარსიო არაუჟომ** მოიგეს. მათ ფინალში **შუილსა** და **ნუმერდორფერს** (ჰოლანდია) სძლიეს. თუკი ბრაზილიელები მუდამ ფავორიტთა შორის არიან, ჰოლანდიელების ფინალში გასვლა სენსაცია იყო. ტურნირის ყველაზე დიდ მოულოდნელობად კი ბრაზილიელი მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონების, **რიკარდოსა** და **ემანუელის** ჯგუფში ჩარჩენა უნდა ჩაითვალოს.

გადავიდეთ ქალებზე. სტავანგერში კიდევ ერთი, "ყოფილ" ბრაზილიელთა წყვილი იცავდა საქართველოს ღირსებას. სამწუხაროდ, კაცებისაგან განსხვავებით, **საქა-რთველო** ბევრი ვერაფერით გვახარებს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მათ მხოლოდ წლეულს დაიწყეს ასეთი დონის შეჯიბრებებზე სიარული და შეთამაშებისა თუ ადაპტაციის პრობლემა აქვთ. შარშან, გეორ-გიამაც ანალოგიურად დაიწყო, მაგრამ ახლა უკვე ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. ვიმედოვნებთ, ქალებიც მალე გამოასწორებენ თამაშს და პეკინის ოლიმპიადაზე ორივე ქართულ წყვილს ვიხილავთ.

სტავანგერულ "დიდ მუზარადზე" საქა-რთველო ბრძოლა საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო და... ტურნირს პირველსავე შეხვედრაში გამოეთიშა. ჩვენი ქალთა წყვილი კაისერმა და ლეენსტრამ (ჰოლანდია) დაამარცხა – 21:19, 21:14. საბოლოოდ, საქა-რთველომ 41-56 ადგილები გაიყო და 24 სარეიტინგო ქულა მიიღო. საპრიზო ფონდიდან კი ცენტიც არ შეხვედრია.

4-8 ივლისს, **გეორ-გია** და **საქა-რთველო**, მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპში მიიღებს მონაწილეობას. ეს ეტაპი კანადის ქალაქ მონრეალში გაიმართება. თვის ბოლოს კი, შვეიცარიულ გშტაადში, სეზონის უმთავრესი ღონისძიება - მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, რომელსაც ნახევარმილიონიანი საპრიზო ფონდი აქვს და ყველაზე მაღალ სარეიტინგო ქულებს იძლევა.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

ქართველები ტურნირებზე

სოფიო ძირითადი ბადისთვის

სერბეთის ქალაქ პროკუპიეში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მეორე ნომრად განთესეს 19 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (960). პირველ წრეში სოფიო ისვენებდა, მეორეში კი ჩეხ **პეტრა კრეჟსოვას** მოუგო - 6:4, 6:2. სოფიო ტურნირის ძირითად ბადეში გასასვლელად იბრძოლებს. საამისოდ, მან სერბ **ლუბიცა ავრამოვიჩს** უნდა აჯობოს.

დევიძე და ისევ მარცხი

ამერიკის ქალაქ საუზლეიქში ქალ ჩოგბურთელთა 25-ათასიანი ტურნირია გაჩაღებული. წესით, იქ ორ ჩვენებურს უნდა ეასპარეზა, მაგრამ ბოლო წამს **სოფიო მელიქიშვილი** შეჯიბრებიდან მოიხსნა, **სალომე დევიძე** (618) კი საკვალიფიკაცო ბადეში ჩაება. 21 წლის დევიძის ბოლოდროინდელ წარუმატებლობაზე უკვე ვწერდით. სამწუხაროდ, ამ ტურნირმა ვერაფერი შეცვალა: დევიძემ პირველივე საკვალიფკაციო წრეში წააგო რეიტინგში ათასეულს მიღმა მყოფ ჰოლანდიელ **ბო ფერჰულსდონკთან** - 5:7, 2:6.

ითონიშვილი ბოლონიას დაემშვიდობა

19 წლის ქართველი ჩოგბურთელი **ნოდარ ითონიშვილი** (1339), იტალიის ქალაქ ბოლონიაში, "სიროლა ბონეტის მემორიალზე" (საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარი) მონაწილეობდა. ნოდარი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-13 ნომრად განთესეს. ქართველი პირველი წრისგან თავისუფალი იყო, მეორეში კი 17 წლის ბრაზილიელ **ანდრე სტაბილესთან** დამარცხდა - 4:6, 1:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სერენა უფეხოდაც მაგარია



სერენა უილიამსი

გუშინ უიმბლდონზე ამინდი კვლავ ჭირვეულობდა, რის გამოც, თამაში გვიანაც დაიწყო და რამდენჯერმეც შეწყდა. წვიმამ პირველად 90-წუთიანი ტაიმ-აუტი აიღო, რაც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ჩოგბურთელებს შაბათს, წვიმის გამო გადადებული შეხვედრების ნაწილი დაესრულებინათ. მეორედ უფრო ცოტა ხნით გამოიდარა, რომლის დროსაც მხოლოდ ორი შეხვედრის დასრულება მოესწრო.

უამინდობამ ჩოგბურთელებზეც უარყოფითად იმოქმედა. კერძოდ, სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან** შეხვედრის დროს, მარცხენა წვივის ტრავმა მიიღო **სერენა უილიამსმა**, ვინც მეორე სეტის მინურულს, ძლივსღა ახერხებდა გადაადგილებას და შეცდომებსაც ბევრს უშვებდა. მაგრამ ტაიბრეიკის დროს, კვლავ განვიმდა, რის გამოც თამაში შეწყდა. ამ დროს ანგარიში 6:2, 6:6 (2:4) იყო სერენას სასარგებლოდ.

ამერიკელი აშკარად შავ დღეში იყო. მან იცოდა, რომ თუ ტაიბრეიკს წააგებდა, თამაშის გაგრძელებას აზრი არ ექნებოდა. მხოლოდ ერთი რამ აიმედებდა - კორტის თავზე შავი ღრუბელი იყო მოგროვებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მალე კვლავ უნდა განვიმებულიყო. ამინდმაც დიდხანს აღარ ალოდინა. სერენამ შვებით ამოისუნთქა, როცა ექვსი ქულის გათამაშების შემდეგ, ემპაიერმა თამაშის შეწყვიტა და კორტის შალითებში გახვევა ბრძანა.

რა თქმა უნდა, სერენას ერჩივნა, რომ გუშინ წვიმას არ გადაეღო და მას ფეხების მოსაშუშებლად მეტი დრო ჰქონოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. საათნახევრის შემდეგ, კვლავ გამოიდარა და ჩოგბურთელებს კორტზე გამოსვლა მოუხდათ. ამერიკელს ორივე ფეხი შეხვეული ჰქონდა, ზემოდან კი სპორტული შარვალი ეცვა. სპაზმების გამო, თავიდან ის ისევე ზანტად ირჯებოდა, როგორც თამაშის შეწყვეტამდე. მაგრამ რაც დრო გადიოდა, კუნთები სულ უფრო ეხსნებოდა, რაც მის თამაშზეც აისახებოდა. თუმცა, იდეალურ თამაშამდე მაინც ბევრი აკლდა.

ყოველივეს მიუხედავად, სერენამ იპოვნა რესურსი და თამაში მისთვის სასურველ რიტმში გადაიყვანა. ჰანტუხოვა ცდილობდა, მეტოქე ერთიდან მეორე კუთხეში ერბენინებინა, მაგრამ რამდენჯერმე შეცდომა დაუშვა, რის გამოც შეტევის მადა დაეკარგა და სწორხაზოვანი თამაში ამჯობინა.

ეს კი სერენასთვის მისწრება იყო. გადამწყვეტ სეტში მან ჯერ თავის სერვისზე თამაში დაასტაბილურა, შემდეგ კი, როცა მეტოქის მოწოდებაზე შანსი მიეცა, მაშინვე გამოიყენა და ბრეიკით დაწინაურდა. ამან სლოვაკი მეჩოგნე ერთიანად არია. მან სერენას სერვისზე ქულის ასაღებად კი გაიბრძოლა, მაგრამ კვლავ არაფერი გამოუვიდა. მერე კი თავის მოწოდებაზე კიდევ ერთი ქულა დათმო და შეხვედრაც წააგო.

ეს ისტორია ჩოგბურთის მოყვარულებს უთუოდ გაახსენდება 2001 წლის უიმბლდონის ნახევარფინალს, სადაც ბრიტანელთა ფავორიტი **ტიმ ჰენმანი** ხორვატ **გორან ივანიშევიჩს** ანადგურებდა. გორანს თამაშის გადარჩენის შანსი არ ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად განვიმდა, რასაც ცენტრალურ კორტზე სასწაული მოჰყვა - ხორვატმა თამაში შემოაბრუნა, მერე კი ფინალში ავსტრალიელ **პატრიკ რაფტერსაც** მოუგო და გახდა პირველი ჩოგბურთელი, ვინც უიმბლდონის ტურნირი უაილდ ქარდით მოთამაშემ მოიგო.

სხვათა შორის, გორანს არ მოსწონს, რომ ორი წლის შემდეგ, წვიმის შემთხვევაში, უიმბლდონის ორგანიზატორები ცენტრალური კორტის დახურვას შეძლებენ. ერთ კორტზე მაქსიმუმ ოთხ შეხვედრას ჩაატარებ, მაგრამ დანარჩენებმა რა �, - კითხულობს ხორვატი, ვინც ამჯერად ვეტერანთა ტურნირზე ასპარეზობს.

სერენამ რომ მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, მისი და **ვენუს უილიამსი** გუშინ მეოთხე წრეში გავიდა. ვენუსს იაპონელ **აკიკო მორიგამისთან** წვიმის გამო შეწყვეტილი შეხვედრა ჰქონდა დასამთავრებელი. ამ შეხვედრაში მან პირველი სეტი იოლად მოიგო, მაგრამ მეორეში უკან იყო და სერენასი არ იყოს, პაუზა მასაც გამოადგა.

მართალია, თამაშის განახლების შემდეგ, მეშვიდე გეიმში ექვსი სეტ პოინტი მოიგერია, მომდევნო გეიმში კი ერთი ბრეიკის გაქვითვაც შეძლო, მაგრამ ამ სეტის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო. ეგ კი არა, გადამწყვეტი სეტის მერვე გეიმში, ქულა თავის მოწოდებაზე დათმო, მომდევნოში კი იაპონელი მატჩზე აწოდებდა. მაგრამ ამერიკელმა ბოლო ძალა მოიკრიბა და ამ ქულის გადარჩენით, საპასუხო ბრეიკიც მოიპოვა, რითაც სეტში ანგარიში გაათანაბრა (5:5). აქედან მოყოლებული, ვენუსი უპირატესობას დაეუფლა და მე-12 გეიმში აღებული კიდევ ერთი ბრეიკით, შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

"თქმა არ უნდა, ჩემი ერთ-ერთი ძლიერი მხარე ისაა, რომ ნამდვილი მებრძოლი ვარ და უზარმაზარი გამოცდილება მაქვს. ყოველთვის მეუფლება გრძნობა, რომ თამაშის შემობრუნება შემიძლია და ისიც ვიცი, თუ როგორ უნდა გავაკეთო ეს. ამჯერადაც ასე მოხდა. მოკლედ, ეს შეხვედრა გამოცდილების წყალობით მოვიგე", - განაცხადა ვენუსმა, ვინც მეოთხე წრეში რუს **მარია შარაპოვას** შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ ვენუსი და რუსი ლამაზმანი ერთმანეთს უიმბლდონის ნახევარფინალში 2005 წელს შეხვდენ. მაშინ ამერიკელმა მოიგო და მოგვიანებით, ტურნირის ჩემპიონიც გახდა. ახლა შარაპოვას რევანშის შანსი ექნება.

გუშინდელი დღის მოულოდნელობა იყო რუსი **ელენა დემენტიევას** წაგება ავსტრიელ თინეიჯერ **ტამირა პაშეკთან**. ამათაც შეხვედრა შაბათს დაიწყეს, მაგრამ ამინდის გამო, მისი დასრულება გუშინღა შეძლეს. პირველი ორი სეტიდან მეტოქეებმა თითო დაინაწილეს, თამაში რომ განახლდა 16 წლის ავსტრიელმა კორტზე თავისი კონტროლი დააწესა და გამოცდილ მეტოქეს მოგების შანსი არ დაუტოვა.

შეხვედრის შემდეგ კი, როცა გაიგო, რომ მეოთხე წრეში გასვლისთვის, ტურნირის ორგანიზატორებისგან ჯილდოდ 95 010 დოლარი ერგებოდა, ძალიან გაოცდა, თუმცა ემოციები სწრაფად მოთოკა და განაცხადა: *"წარმოდგენა არ მქონდა, თუ მესამე წრეში გამარჯვებისთვის ამდენ თანხას ავიღებდი, მაგრამ ჩემი მიზანი ხომ თამაშია და არა ფულის თვლა. მე ფულისთვის კი არა, იმისთვის ვთამაშობ, რომ ჩოგბურთი მიყვარს და კორტზე ყოფნით უზარმაზარ სიამოვნებას ვღებულობ"*.

მომდევნო სიამოვნებისთვის მას პარტნიორობას კიდევ ერთი რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა** გაუწევს, რომელმაც იოლად, ორ სეტში დაამარცხა პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**.

რაც შეეხებათ მეოთხედფინალისტებს, სერენას გარდა, ქალთა ბადეში ასეთი სულ ორია. ესენი არიან ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** და ჰოლანდიელი **მიხაელა კრაიჩეკი**. პირველმა შვეიცარიელი **პატი შნიდერი** გაანადგურა, მეორემ კი ასევე ორ სეტში აჯობა ამერიკელ **ლაურა გრენვილს**.

ჟუსტინი მეოთხედფინალში სერენას ხვდება და არაა გამორიცხული, რომ ამერიკელმა კორტზე გამოსვლაც ვერ შეძლოს, ისევე, როგორც გერმანელმა **ტომი ჰაასმა**. ამას მეოთხე წრეში მეტოქეობა **როჯერ ფედერერისთვის** უნდა გაეწია, მაგრამ მუცლის პრესის ქვედა კუნთები დაუზიანდა, რის გამოც კორტზე გამოსვლაც კი ვერ მოახერხა. ცნობისათვის, შვეიცარიელი მაესტრო კაცების ბადეში ერთადერთი მეოთხედფინალისტია.

კაცები

მესამე წრე

ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ, 7)-ჰიუნ-ტაიკ ლი (სამხ.კორ) 6:4, 7:6(2), 7:6(3); **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 10)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 23) 6:2, 7:5, 6:0; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 18) 7:5, 7:6(5), 6:3; **იონას ბიორკმანი (შვედ, 19)**-უეინ არტურსი (ავსტრალ) 6:2, 6:1, 6:4

მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ტომი ჰაასი (გერ, 13) ჰაასის ტრავმა;

ქალები

მესამე წრე

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:2, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 6)**-რავან რეზაი (საფ) 6:3, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 11)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:3, 7:6(3); **ტამირა პაშეკი (ავსტ)**-ელენა დემენტიევა (რუს, 12), 3:6, 6:2, 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 14)**- ვიქტორია აზარენკა (ბელა) 6:4, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 23)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:2, 3:6, 7:5

მეოთხე წრე

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-პატი შნიდერი (შვეი, 15) 6:2, 6:2; **სერანა იულიამსი (აშშ, 7)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 10) 6:2, 6:7(2), 6:2; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 31)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:3, 6:4

TV სპორტი

3 ივლისი. სამშაბათი

ORT

02:35 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. პერუ-ბოლივია (LIVE).
04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ურუგვაი (LIVE).

НТВ-კლასი (უფხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. აშშ-პარაგვაი.
14:10 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოლუმბია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-შალკე.
18:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. მილანი-სელტა.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. აშშ-პარაგვაი.
22:05 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოლუმბია.
23:55 პირდაპირი ხაზი.

SPORT 1 (უკრაინა)

06:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დალასი-ნიუ იორკი.
08:00 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
09:20 სპორტკლუბი ქართულ ფეხბურთზე.
09:55 ექსტრემალური სპორტი.
10:25 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ახალი ზელანდია.
12:40 მინი-მოედანი.
12:55 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. მარია შარაპოვა-მარიან ბარტოლი. ბირმინგემი. ინგლისი.
14:20 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
15:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დი სი იუნაიტედი-ნიუ ინგლენდი.
18:00 ექსტრემალური სპორტი.
18:30 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
20:15 სპორტკლუბი.
20:35 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ბაფალო-აილენდერსი.
22:20 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:50 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2002-03 წლების სეზონი. ფინალი. იუვენტუსი-მილანი.
01:40 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
02:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. მარია შარაპოვა-მარიან ბარტოლი. ბირმინგემი. ინგლისი.
03:25 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
04:45 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დი სი იუნაიტედი-ნიუ ინგლენდი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:30 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. კანადა.
12:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
13:00 მძღოლსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ათენი. საბერძნეთი.
15:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-ბულგარეთი. პოლონეთი.
16:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გამბია-მექსიკა. კანადა.
17:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ათენი. საბერძნეთი.
19:00 ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი. ბელგია.
22:00 კრივი.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-პოლონეთი. კანადა (LIVE).
03:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გამბია-მექსიკა. კანადა.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-ბულგარეთი. პოლონეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი.
17:30 პლაჟის ჩოგბოლი (ხელბურთის ნაირსახეობა). საერთაშორისო ტურნირი. ქალები. ფინალი. შვეიცარია (LIVE).
18:45 პლაჟის ჩოგბოლი (ხელბურთის ნაირსახეობა). საერთაშორისო ტურნირი. მამაკაცები. ფინალი. შვეიცარია (LIVE).
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 კარტინგი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პოლანდიის გრან პრი.
00:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15, 05:45 ახალი ამბები.
03:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ს. კორეა. კანადა (LIVE).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

კოპა ამერიკა

აშშ-პარაგვაი	1:3
არგენტინა-კოლუმბია	გვიან დასრულდა

მსოფლიო ჩემპიონატი

UNDER 20

პორტუგალია-ახ. ზელანდია	2:0

ამხანაგური მატჩი

მექი-გენიონი	1:1

ნორვეგია

რუსენბორგი-აალესუნდი	2:2

ირლანდია

დროგედა-გალვეი	გადაიდო

შვედეთი

იუგორდენი-გეფლე	2:1
გიოტებორგი-მალმიო	1:2
ალმარი-ერებრუ	2:0

II დივიზიონი

იონოპინგი-ნორჩოპინგი	2:3

ფინეთი

მიუკა-ლა

ვინს კარტერი

NBA. ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ ᲜᲔᲢᲡᲘ

ᲑᲐᲓᲔᲡ ᲕᲘᲜᲡᲘ ᲐᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ

ᲝᲗᲮᲘ წელიწადი და დაახლოებით 62 მილიონი დოლარი - ამ პირობაზე შეუთანხმდა "ნიუ ჯერსი ნეტსი" თავის ჭირვეულ ვარსკვლავ **ვინს კარტერს**, რომელიც ისტ-რუზერფორდის ბინადარ კლუბთან ახალ ხელშეკრულებას სულ მალე გააფორმებს.

11 ივლისამდე, გუნდებს შეგულებულ მოთამაშეებთან საკონტრაქტო პირობების ოფიციალურად გამხელის უფლება არ აქვთ, მაგრამ ეს ამბავი ასპროცენტიანი არისო - ამბობს "ნეტსის" ერთ-ერთი წარმომადგენელი.

არადა, ერთი დღით ადრე, "ნიუ ჯერსიში" გამოაცხადეს - ვინსმა ჩვენს მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულებაზე უარი გვითხრა და ვაითუ ეს კაცი ხელიდან დაგვისხლტესო. როგორც ჩანს, **ჯეისონ კიდის** ფაქტორმა (სუპერგამთამაშებელი ჯერაც "ნეტსშია", თუმცა მისი დარჩენის წინაპირობა კარტერის შენარჩუნება იყო) კარტერს გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

წინა კონტრაქტით ვინსს "ნეტსში" კიდევ ერთი წელიწადი უნდა ეთამაშა და 16.3 მილიონნი მიეღო, თუმცა ფორვარდს ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში გადასვლა სურდა და ხელშეკრულების დარღვევისთვისაც მზად იყო. 30 წლის კარტერი, რომელიც NBA-ში თავის მეათე სეზონს დაიწყებს, ჯერაც შესანიშნავ ფორმაშია და გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ვინსი "ნეტსის" ცენტრ **ნენად კრსტიჩთან** ერთად თავის ფლორიდულ სახლში ვარჯიშობდა, სადაც რამდენიმე დღის წინათ გუნდის მფლობელი **ბრიუს რატნერიც** ჩასულა და ალბათ, გადამწყვეტი საუბარი სწორედ იქ შედგა. ახალ ხელშეკრულებაზე "ნიუ ჯერსისა" და მოთამაშის აგენტს შორის მოლაპარაკება, აგერ უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს.

კარტერის აგენტი **კურტ შოპლერი** მხოლოდ ასეთი კომენტარით შემოიფარგლა: *"გუნდისა და ვინსის ინტერესები ერთსა და იგივეს უკავშირდება - "ნიუ ჯერსი" აღმოსავლეთის ელიტაში უნდა დაბრუნდეს, რისთვისაც ლიდერების, ვინსისა და ჯეისონ კიდის შენარჩუნებაა საჭირო."*

ვინს კარტერმა შარშანდელ რეგულარულში დაგროვებული 25.3 ქულით, გუნდში საუკეთესო ბომბარდირობა კი გაინაღდა, მაგრამ ფლეი ოფში, კონკრეტულად კი "კლივლენდთან" მეორე წრეში, იგი ძალიან პასიური იყო. სერიის მეოთხე შეხვედრაში (იმ დროისთვის "კავალიერსი" წინ იყო - 2:1) კარტერმა ძირითადის დასრულებამდე 4 წამით ადრე ბურთი დაკარგა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა, ხოლო მეექვსე დაპირისპირებაში კი მოედანი მხოლოდ 11 ქულით დატოვა. ამავე მატჩში მის ანგარიშზე უფრო მეტი შეცდომა (5) იყო, ვიდრე თამაშიდან ზუსტი სროლა (4).

კარტერის გარდა, "ნიუ ჯერსის" კიდევ ერთი თავისუფალი აგენტის, მძიმე ფორვარდის **მიკი მურის** შენარჩუნებაც მოუწევს. ამ უკანასკნელმა შარშან, თავის კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და საშუალოდ 9.8 ქულა და 5.1 მოხსნა დააგროვა. მან თამაშიდან სროლების 60.9 პროცენტი გამოიყენა, რაც ლიგაში საუკეთესო შედეგი იყო.

"ვინს კარტერი ძალიან ძლიერი, გუნდისთვის იდეალური მოთამაშეა. თანაც ჩემი მეგობარი გახლავთ. იმედი მაქვს, მასთან და რიჩარდ ჯეფერსონთან ერთად შედეგიან რეგულარულს ჩავატარებთ, რაც შემდგომში პროდუქტიულ ფლეი ოფში გადაიზრდება.", - ამბობს ჯეისონ კიდი.

ზურაბ თალაკვაძე

NBA. ᲨᲐᲠᲚᲝᲢ ᲑᲝᲒᲥᲔᲗᲘᲡᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲝᲚᲐᲡᲘ

ᲓᲘᲓᲘ ომის გადატანა მოუწევს "შარლოტ ბობქეთსს" თავისი საუკეთესო მოთამაშისა და ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველის, **ჯერალდ უოლასის** შესანარჩუნებლად.

ბოლო ორი დღის განმავლობაში, თავისუფალ აგენტ უოლასს შვიდი გუნდი - "დალასი", "ორლანდო", "მილუოკი", "დეტროიტი", "მაიამი", "პორტლენდი" და "გოლდენ სტეიტი" დაუკავშირდა, მოთამაშემ კი სწრაფად უნდა გააკეთოს არჩევანი, რადგან "ჰიტი" და "მავერიქსი" პასუხს უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში ითხოვენ.

ჯერალდის აყვანის ყველაზე რეალური შანსი, ისევ და ისევ, მის ყოფილ გუნდს აქვს. ჯერ ერთი, აქ მისი მეგობარი **ემეკა ოკაფორი** თამაშობს. გარდა ამისა, უოლასმა სეზონის დასრულების მერე თავად აღნიშნა - სხვაგან წასვლასა და ნერვების წყვეტას, აქ დარჩენა მირჩევნიაო. მთავარი კი მაინც ისაა, რომ უოლასს თავისი კერპის, **მაიკლ ჯორდანის** (გუნდის თანამფლობელი) ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა მოუწევს.

"შარლოტს" საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს და თუ გუნდი ჯერალდის შენარჩუნებას მოახერხებს, მაშინ ფლეი ოფში გასვლა უკვე რეალური იქნება. შეგახსენებთ, რომ უოლასისა და ოკაფორის გარდა, გუნდშია უნიჭიერესი უკანახაზელი **რეიმონდ ფელტონი** და ფეთქებადი მსროლელი **ჯეისონ რიჩარდსონი**, რომელიც გუნდმა "გოლდენ სტეიტთან" გაცვლის შედეგად მიიღო.

შარშანდელ სეზონში ჯერალდ უოლასი ერთ მატჩში საშუალოდ 18.1 ქულასა და 7.2 მოხსნას აგროვებდა, თუმცა თავისი შესანიშნავი გამოსვლის საანაცვლოდ, ძველი კონტრაქტით გათვალისწინებულ 5.5 მილიონს იღებდა. წინასწარი ინფორმაციით, უოლასი "ბობქეთსისგან" 4-წლიან და 44-მილიონიან კონტრაქტს მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ "შარლოტმა" უოლასი 2004 წლის დრაფტზე აიყვანა.

ზურაბ თალაკვაძე

NHL. ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სატრანსფერო საგიუეთი დაიწყო - გაიხსნა თავისუფალი აგენტების ბაზარი და პირველივე დღეს, რამდენიმე ხმაურიანი გარიგება შედგა.

დიდი ყურადღება იყო მიპყრობილი "ბაფალო სეიბრზის" კაპიტნების, **კრის დრურისა** და **დანიელ ბრიერის** მიმართ. კლუბის ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ ორიდან ერთ-ერთ ფორვარდს მაინც შეინარჩუნებდნენ, მაგრამ მათ იმედებს ასრულება არ ეწერა.

ბრიერი "ფილადელფიაში" გადავიდა. გასულ სეზონში "ბაფალოს" საუკეთესო ბომბარდირმა (95 ქულა) ახალ კლუბთან 8-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამ დროის განმავლობაში ის 52 მილიონ დოლარს მიიღებს.

"დანიელი ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდება. წესით, მისი გამოცდილება ჩვენს ახალგაზრდა ჰოკეისტებს წინსვლაში უნდა დაეხმაროს", - განაცხადა "ფილადელფიას" გენერალურმა მენეჯერმა **პოლ ჰოლმგრენმა**.

ეს ჩინოვნიკი ტრანსფერების პირველ დღეს ძალიან დაკავებული იყო. გასული სეზონის მთავარი აუტსაიდერი მხოლოდ ბრიერის ტრანსფერით არ შემოიფარგლა და "ედმონტონ ოილერზთან" 4-კაციანი გაცვლა განახორციელა. "ფლაიერზიდან" კანადურ კლუბში წავიდნენ მცველი **იონი პიტკანენი** და ფორვარდი **ჯეფ სანდერსონი**, სანაცვლოდ, "ფილადელფიამ" მცველი **ჯეისონ სმიტი** და თავდამსხმელი **ჯოფრი ლუპული** მიიღო.

ამ გაცვლით უფრო მოგებული "ედმონტონი" უნდა დარჩეს. პიტკანენმა შარშან 77 მატჩში 43 ქულა (4+39) დააგროვა, სანდერსონმა კი, 11 გოლი გაიტანა და 18 შედეგიანი პასი შეასრულა. რაც შეეხება "ფილადელფიაში" გადასულ ლუპულს, მას გასული რეგულარული ჩაუვარდა და მხოლოდ 28 ქულით (16+12) შეეწია თავის გუნდს.

■ ■ ■

"ბაფალოს" მეორე ლიდერი, კრის დრური "ნიუ იორკ რეინჯერსში" გაემგზავრა. მან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მთლიანი თანხა 35.25 მილიონ დოლარს შეადგენს. 30 წლის ფორვარდმა შარშანდელ სეზონში 69 ქულა (37+32) დააგროვა.

გუშინდელი დღის მიხედვით, ყველაზე ფასეული შენაძენები სწორედ "რეინჯერსმა" გააკეთა. ის დრურის ტრანსფერით არ დაკმაყოფილდა და "ნიუ ჯერსი დევილზიდან" **სკოტ გომესი** გადაიბირა. 7 წლის განმავლობაში, ნიუიორკელები ამ ფორვარდს 51.5 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

სავარაუდოდ, გომესი **ბრენდან შენეჰანთან** ერთ ტრიოში ითამაშებს, ხოლო დრური **იარომირ იაგრის** პარტნიორი გახდება.

ამ ორ ჰოკეისტთან კონტრაქტის გაფორმება ნიშნავს იმას, რომ შვედი **მიკაელ ნიულანდერი** ყველა შემთხვევაში დატოვებს "რეინჯერსს".

■ ■ ■

გომესის გარდა, "ნიუ ჯერსიმ" კიდევ ერთი წამყვანი ჰოკეისტი დაკარგა - გამოცდილი და შედეგიანი მცველი **ბრაიან რაფალსკი** "დეტროიტ რედ უინგზში" გაუშვა. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელის მცველი **მატიო შნაიდერი** სტენლის თასის ახალი მფლობელის, "ანაჰაიმ დაქსის" რიგებში ჩაირიცხა.

38 წლის შნაიდერი მომავალ ორ სეზონს "იხვების" რიგებში გაატარებს და 11.5 მილიონ დოლარს მიიღებს. "ანაჰაიმის" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან ბურკმა** განაცხადა, რომ ამ ტრანსფერით "დაქსმა" თავი დაიზღვია იმ შემთხვევისთვის, თუ ამ გუნდის კაპიტანი და ფლეი ოფის MVP **სკოტ ნიდერმაიერი** კარიერის დასრულებას გადაწყვეტს.

გასულ წელს შნაიდერს წარმატებული სეზონი ჰქონდა. მან 68 მატჩში 11 გოლი გაიტანა და 41 შედეგიანი პასი გააკეთა.

გარდა შნაიდერის დამატებისა, "ანაჰაიმი" ერთ ჰოკეისტს შეელია. კერძოდ, მარჯვენა ფრთა **შონ ტორნტონი** "ბოსტონ ბრუინზში" გადავიდა. მისი კონტრაქტის დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

■ ■ ■

მნიშვნელოვანი შენაძენით იწონებს თავს "კოლორადო ეველანში". ამ გუნდთან კონტრაქტს მოაწერა ხელი კანადის ნაკრების კაპიტანმა **რაიან სმიტმა**.

სმიტი "ეველანშში" "ნიუ იორკ აილენდერსიდან" გადავიდა და ახალ გუნდთან 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მისი კონტრაქტის მთლიანი თანხაა 31.25 მილიონი დოლარი.

"რაიანმა ჩათვალა, რომ ჩვენგან წასვლა უკეთესი იქნებოდა მისთვის და მისი ოჯახისთვის. იმედგაცრუებული ვარ ამ გადაწყვეტილებით", - განაცხადა "აილენდერსის" გენერალურმა მენეჯერმა **გარტ სნოუმ**.

სმიტის გარდა, "კუნძულელები" კიდევ სამ ჰოკეისტს გამოეთხოვნენ. კერძოდ, მცველმა **ტომ პოტიმ** 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა "ვაშინგტონ კეპიტალზთან", ხოლო ფორვარდები - **რიხარდ ზედკინი** და **ვიქტორ კოზლოვი** "ფლორიდა პანტერზში" გააგრძელებენ კარიერას.

სამაგიეროდ, "აილენდერსმა" სერიოზული შევსება მიიღო "ტორონტო მეიპლ ლიფზიდან". კერძოდ, 33 წლის **ჯეისონ ბლეიკი** 5 წლით ნიუიორკელი გახდება. პირველ წელიწადს ის 5 მილიონს მიიღებს, მომდევნო ორ სეზონში 4.5-4.5 მილიონს და ბოლო ორ წელს - 3-3 მილიონ დოლარს.

გასულ რეგულარულში ბლეიკმა პირადი რეკორდი დაამყარა - 40 გოლი გაიტანა და 29 შედეგიანი პასი შეასრულა.

■ ■ ■

ორი ჰოკეისტით გააძლიერა შემადგენლობა "პიტსბურგ პინგვინზმა". 2-წლიანი კონტრაქტები გაფორმდა თავდამსხმელ **პეტერ სიკორასთან** და მცველ **დერილ სიდორთან**. პირველი შარშან "ედმონტონში" თამაშობდა, სიდორი კი, "დალასის" წევრი იყო.

დაბოლოს, NHL-ის ვეტერანი ვარსკვლავი, 32 წლის **პოლ კარია** "ნეშვილიდან" "სენტ ლუის ბლუზში" გადავიდა, სადაც სამ სეზონს ითამაშებს.

■ ■ ■

გარდა ტრანსფერებისა, გუშინ, რამდენიმე კლუბმა საკუთარ ლიდერებთან კონტრაქტები გაახანგრძლივა. ასე მაგალითად, "სან ხოსემ" შეინარჩუნა თავისი საუკეთესო ბომბარდირი **ჯო ტორნტონი**. ახალი ხელშეკრულება სამწლიანია და ამ ფორვარდის წლიური ხელფასი 7 მილიონი დოლარი იქნება.

"კალგარიში" რჩება **ჯერომ იგინლა**. მართალია ფორვარდის ახალი კონტრაქტის დეტალები უცნობი დარჩა, მაგრამ კანადელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ხელშეკრულება 5-წლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს და იგინლას დაახლოებით ისეთივე ხელფასი ექნება, როგორიც ჯო ტორნტონს.

რაიან სმიტი კოლორადოში წავიდა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲡᲞᲝᲠᲯᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲔᲗᲐᲚᲐᲒᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲘᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲭᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲪᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ
ᲒᲝᲗᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲠᲩᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲩᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲑᲐᲖᲐᲠ ᲡᲣᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲔᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲓᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲐᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲦᲘᲓᲒᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲒᲐᲪᲐᲠ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲔᲒᲐᲜᲝᲕᲘᲫᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ". 1936-39 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲗᲕᲐ "ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ", "ᲚᲔᲚᲝᲛᲓᲔ" ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ 362 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ. 1949 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘ ᲐᲦᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ.

2006 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲗᲘ "ᲡᲞᲝᲠᲗᲗᲐᲜ".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ 2002-06 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-ᲓᲐᲜ)

ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲥᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: ᲨᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲐᲡ ᲡᲞᲝᲠᲗᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗᲔᲑᲘ
Მ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ 14,
0108 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ).
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10Ა,
0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
(ᲓᲔᲚᲘᲚᲐᲕᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲘᲠᲘᲡᲐ